საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდევური სიფცვაა, ფცუილებით და ჭიბებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი-კვირა, 26-28 მარტი. 2021 წ. №63-64 (9182-9183) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

„ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა“...



ელიზბარ ჯაველიძე

ცელ-შემართული სიკვდილით მოვლენილი მიხუინების ლიბერალიზმი

საჯარო წერილი ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

ბატონო ირაკლი, ერთობ მძიმე ჯვრის ატანა გადაწყვიტეთ, ეს კი დღეს, როცა არც გარე და არც შინაური მტერი არ ისვენებს და ძიძგნის ეროვნულ სულს, საყოველთაო გლობალიზაციის ნიაღვრით წარყვნილ და გატიალებულ ველზე რომ დალასლასებს და გადარჩენას ლამობს, რაც ერთობ აღიზიანებს მსოფლიოზე გაბატონების მანიით შეპყრობილ იმპერიებს, ძალზე ძნელია. მაგრამ ეს ქართველი ერის ხსნისა და გადარჩენისთვის უპირობოდ საჭიროა და ამას ოდენი სულით მტკიცე და ურყევი ქართველი თუ შეძლებს. ამ ქართველთა შორის თქვენ მეგულებით, ბატონო ირაკლი. ამიტომაც მჯერა: თქვენ ყურად არ იღებთ იმ არაკაცთა, უფრო სწორად, უზნეო, ტვინგამორეცხილი ხროვის აფთარისებურ ჩხავილს, სამშობლო რომ ნეხვით და ნაკელით ნაპატიები თავისი ნაკვეთი ჰგონიათ და შეისმენთ იმ გულმართალ, ეროვნული სულით აღტყინებულ ქართველთ მჭექარე „მრავალჟამიერ“, რომელიც ასე ჟღერს:

„სხვისი, რას ფიქრობს, არ ვიცი!
მე კი იმ ქართველს რა ვუთხრა,
ვისაც სამშობლო თავისი
სუნთქვას არ უჯობს საკუთარს!“

ბატონო ირაკლი, უწინ, როცა პოლიტიკურ სარბიელზე გამოჩნდით, არ გიცნობდით, მაგრამ მაშინვე დიდი იმედით აღვივსე და იცით, რატომ: თქვენ რამდენიმე თეზა წარმოთქვით, რაც ქართველი კაცის გულის ამოძახილი იყო: **პირველი,** თქვენ ბრძანეთ, რომ **ქართული ოჯახის საფუძველია კაცი და ქალი,** რაც ქართველი საზოგადოებისთვის უდავო ჭეშმარიტება იყო და გაიზიარა კიდეც. ამას მოჰყვა კიდევ მნიშვნელოვანი შედეგი: ეს თვალთახედვა კონსტიტუციურ დონეზე დაკანონდა!

იხ. 2-3 გვ.

გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ რეზოლუცია მიიღო 4

ფრთხილად, ხელისუფლებავ!

ბონდო ქობულია

შვიდი ფუჭი დღე 4

ვკითხულობთ და გული ხარობს...

ქება ქართული ლხინისა 7

სანთლები ენთო ყვავილებთან, სანთლები ენთო...

11 **ნოდარ ტაბიძე – ზოგადქართული მოვლენა**



პრემიერ-მინისტრი: ოპოზიციამ ან უნდა მოუსმინოს უცხოელ პარტნიორებს, ან...

„თუ ისინი განაგრძობენ დესტრუქციულ პოლიტიკას და არ გაემიჯნებიან სააკაშვილის რადიკალურ ბოდვებს, რა თქმა უნდა, მათ მოუწევთ მარგინალიზაციის გზით სიარული“, – ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.

„კიდევ ერთხელ მინდა გამოვეხმაურო ბატონი ბორელის და ასევე, ევროკავშირის ვიცე-პრეზიდენტის განცხადებებს. აქვე მინდა გამოვეხმაურო ორგანიზებულ თავდასხმას, რომელიც ოპოზიციის წევრებმა ბორელის მისამართით მიიტანეს. ეს კიდევ ერთხელ უჩვენებს, რა ძალასთან გვაქვს საქმე, ვგულისხმობ რადიკალურ ოპოზიციას და მათ დესტრუქციულ ქმედებებს.

აქედან გამომდინარე, მინდა ვთქვა შემდეგი, რომ დღეს ოპოზიციას დარჩა სულ რაღაც ორი არჩევანი: მოუსმინონ და გაითვალისწინონ ჩვენი უცხოელი სტრატეგიული პარტნიორების მოწოდებები, შევიდნენ პარლამენტში და დაასრულონ ეს ხელოვნურად შექმნილი კრიზისი, მასკარადი და აბსოლუტურად არაპროდუქტიული ქმედებები. მეორე – თუ ისინი განაგრძობენ დესტრუქციულ პოლიტიკას და არ გაემიჯნებიან სააკაშვილის რადიკალურ პოლიტიკას, რა თქმა უნდა, მათ მოუწევთ მარგინალიზაციის გზით სიარული“, – აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

წერტილი დაესვა აბსურდულ ბრალდებებს!

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, აშშ-ის სენატში გამართულ მოსმენაზე გაკეთებული შეფასებები კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ აშშ-ისთვის საქართველო არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორი რეგიონში.

მისივე თქმით, ამ შეფასებებმა წერტილი დაუსვა აბსურდულ ბრალდებებსა და ცილისმწამებლურ სპეკულაციებს, რომლებიც ისმოდა ოპოზიციის მხრიდან.

„მინდა, ვისარგებლო ამ შემთხვევით და მადლობა გადავუხადო აშშ-ის სენატს, სახელმწიფო დეპარტამენტს და პირადად ჯორჯ კენტს გაკეთებული სამართლიანი და ობიექტური შეფასებებისთვის. ეს შეფასებები კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ აშშ-ისთვის საქართველო არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორი ჩვენს რეგიონში. ასევე მინდა ვთქვა, რომ წერტილი დაესვა აბსურდულ ბრალდებებსა და ცილისმწამებლურ სპეკულაციებს, რომლებიც გვესმოდა ოპოზიციის მხრიდან. ჩვენ მზად ვართ, მოკლე დროში განვახორციელოთ საარჩევნო რეფორმა, მართლმსაჯულების შემდგომი რეფორმა და გავითვალისწინოთ ყველა რეკომენდაცია, რომელიც იყო დასახელებული სენატორებისა და სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლების მიერ“, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

ცელშემართული სიკვდილით მოვლენილი მიხუინების ლიბერალიზმი

(პირველი გვერდიდან)

მადლობა უფალს, რომ ეს ეშმაკისეული ჩანაფიქრი, რომელიც მოაზრებულია როგორც მშობელი №1 და მშობელი №2 და პოსტლიბერალიზმის „ჰუმანიზმის“ უმაღლეს მწვერვალად არის შეფასებული, ჭეშმარიტმა ქართულმა საზოგადოებამ არ გაიზიარა, თორემ ეს „უბიწობა“ დღეს უფრო მაღალ „ესთეტიკურ-ზნეობრივ“ სიმაღლეზეა აყვანილი, რომელიც ქალის ხსენებას საერთოდ გვიკრძალავს და მას მოიხსენიებს იმ არსებად, მენსტრუაციით რომ არის გამორჩეული და დამშვენებული! ანუ გვაიძულებს ვთქვათ, რომ ის არის არსება, რომლის სილამაზეს და სულიერებას მენსტრუაცია, ანუ თვიური განსაზღვრავს... უფალო შემინდე და ხანდახან მიჩნდება აზრი, რომ პოსტლიბერალიზმის ეს „შთამბეჭდავი ხატი“, ეგების და შეესაბამება მათ მიმდევარ მდედრობით სქესს, სხვაგვარად იმ ნაცქალუნებს, რომელნიც პირით ისეთ სიბინძურეს და სიბილწეს აფრქვევენ, რომ ამასთან შედარებით, მათი დედათა წესის სახელით ნათლობა, შეიძლება ადამიანმა მხატვრულობის შედეგრად მიიჩნიოს. მეტიც შეიძლება ითქვას: თუ გავიხსენებთ ფუთუვეთის რაინდული ძმობის ეთიკურ თუ მორალურ თვალთახედვას — „ჭეშმარიტ კაცობას სიმართლე წარმოქმნის“, სიცრუე კი „კაცების მენსტრუაციას“ (ქოშინი, XIII ს.), მაშინ ნაცების „რაინდები“, რომლებიც მხოლოდ სიცრუით საზრდოობენ და არსებობენ, უფრორე სამართლიანი იქნება მოვიხსენიოთ არა კაცებად, არამედ თვიურით დამშვენებულ და გამორჩეულ არსებებად, როგორც იტყვიან: „ფერი ფერს — მადლი ღმერთსო“. დაბოლოს, ერთი სიტყვით, ვიღებთ დიდებულად ნაჯვარ ქმნილებას — ტრანსგენდერს, რომელიც არც კაცია და არც ქალი, თუმცა ორივეს ბუნების თვისებას წარმოაჩენს; ხან მამრობას იჩემებს, ხან მდედრობას, ოღონდაც მას „დედათა წესი“ ასაზრდოებს და ამიტომაც სიცრუის მორევშია ჩაძირული. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სატანას სქესი არ გააჩნია, ამიტომაც შესაძლებელია მათი ტრანსგენდერობა სატანის შთამომავლობით ავხსნათ.

ახლა შევეშვათ მათ ფიზიოლოგიურ ბუნებას, მათ პოლიტიკურ სახეს რომ დიდად განსაზღვრავს და სოციალურ სპექტრში განვიხილოთ მათი ნამოქმედარი. ბატონო ირაკლი, თავს მოხვეული კოჰაბიტაციის მძლავრობის ჟამს, თქვენ სამართლიანად შეაფასეთ ეს ე.წ. ნაციონალური მოძრაობა და აღნიშნეთ, რომ ის არ არის ნამდვილი ოპოზიცია, არამედ ფაშიზმის არეკლილი შუქ-ჩრდილია, რომელთანაც ნორმალური ურთიერთობა და საუბარი შეუძლებელია, რადგანაც ისინი მოძულენი არიან საქართველოს სახელმწიფოსი და ქართველი ხალხისა. ახლა, ზედმეტი არ იქნება, გავიხსენოთ ამერიკის პრეზიდენტ რეიგანის სიტყვები: **„ნეოლიბერალიზმი თუ გაიმარჯვებს, იგი მოგვევლინება ფაშიზმის სახით“**. სწორედ მიხოსეულმა ლიბერალიზმა მიიღო ფაშიზმის მახინჯი სახე, რომელიც დაფუძნებული იყო ხალხის ძარცვას, წამებას, განადგურებასა და დესპოტიზმზე. ეს შეფასება თქვენეული პოზიციის თანაზიარია.

არ ვიცი, დღეს ამ აზრზე დგახართ თუ არა, მაგრამ ჭეშმარიტ ქართველ საზოგადოებას, ოდენ სამშობლოს სიყვარული რომ ამოძრავებს და მათ შორის მეც, მტკიცედ მწამს, ვიდრე ესენი, რომლებიც კოჰაბიტაციის მეშვეობით სოროსის სოროდან გამოსოროსდნენ და ფაშისტური მეთოდებით აუპატიურებდნენ, აწამებდნენ და უპრაკონოდ ხოცავდნენ ახალგაზრდობას, და, რაც საწუხარია, დღესაც პოლიტიკურ სივრცეში კვლავ კადნიერად განაგრძნობენ, მართალი და უცოდველი ბატკნის ხატად თავის წარმოჩენას, ჩვენ ბედკრულ ქვეყანას არაფერი ეშველება! ამიტომაც თქვენ, როგორც პრინციპულ ადამიანს, დაბეჯითებით გთხოვთ, მათ მიუჩინოთ ის ადგილი, რასაც მართალი სამართალი გკარნახობთ და ბოლოს და ბოლოს, აღასრულოთ ის დადგენილება, რომელიც მათი დესპოტიზმის, ძალმომრეობის, არაადამიანური წამების ფაქტების შესწავლის შედეგად დააკანონა პარლამენტმა (10 ივნისი, 2016 წ.): ქართველი ხალხის სისხლში ხელგასვრილებს და დაუნდობელ მწამებლებს არა აქვთ უფლება არც საჯარო და არც პოლიტიკურ სივრცეში მოღვაწეობისა!... ასე რომ, მათ პარლამენტის კარებს კი არ უნდა ვუღებდეთ, არამედ პირდაპირ ციხეში უნდა ვუკრათ თავი!

მესამე, თქვენ ადრევე ბრძანეთ, რომ ჩვენი განათლება უნდა დავიწყოთ დიდგორიდან, რაც, ჩემი აზრით, გვაუწყებს იმას, რომ ქართული განათლება უნდა ეფუძნებოდეს ისტორიულ — ქართულ ცნობიერებას, ქართულ ტრადიციებს და ოდითგან არსებულ სისტემას და არა იმ ცნობიერების და საერთოდ მეცნიერების დამანგრეველ პროგრამას, რომელიც შეიმუშავა კანალიზაციის კარგად მცოდნე ლომაიამ და რომელმაც მოსპო, გაანადგურა და ამოძირკვა ეროვნული ცნობიერება და პატრიოტული მრწამსი. ამ პროგრამის შუქ-ჩრდილები, მიუხედავად იმისა, რომ განათლების სამინისტროს, როგორც იქნა, განათლებული მინისტრები ეღირსა, დღესაც თავს იჩენს. ჩემი ღრმა რწმენით, სკოლამაც და უმაღლესმა სასწავლებლებმაც, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღზარდონ ზნეკეთილი, მცოდნე და სამშობლოს მოყვარული ახალგაზრდები და არა კონკურენტუნარიანი პიროვნებები, როგორც ეს ძალზე საეჭვო ვითარებაში გადამდგარმა პრემიერმა გვაუწყა და რაზეც მაშინვე საკადრისი პასუხი გასცა გულმართალმა და პრინციპულმა თეა წულუკიანმა. ეს პასუხი კი დაახლოებით ასე ჟღერდა: უპირველესად სულიერად სრულყოფილი, ერის და ქვეყნის მოყვარული ქართველი უნდა აღვზარდოთ, რომელიც ბუნებრივად გამოიმუშავებს კონკურენციის უნარს! ვგონებ, ბატონო ირაკლი, თქვენც ამ პოზიციაზე დგახართ!

დაბოლოს, როცა თქვენ ტოვებდით, თუ დაგატოვებინეს პრემიერ-მინისტრის პოსტი, თქვენი გამოთხოვება ამგვარად დააგვირგვინეთ: თანამდებობა მოდის და მიდის, დრო და ჟამი იცვლება, მხოლოდ მარადიულად რჩება ძვეყნის, ერის და ოჯახის სიყვარული. დიახ, ერის სიყვარული, კაცური კაცობა, რწმენა და ოჯახის სიწმინდე თუ გადაგვარჩენს, ბატონო ირაკლი და თქვენი ეს სიტყვები კვლავაც მოწმობს თქვენ საყოველთაო სიყვარულის ძლიერ ნიჭსა და უნარს.

მრავალცეცხლგამოვლილი ქართველი ხალხი ისე არ დაკნინებულა, რომ გარე თუ შინაურ მტერს საკადრისი პასუხი არ გასცეს. ბატონო ირაკლი, თქვენ კარგად გესმით, რომ დღეს მტერი ცეცხლითა და მახვილით არ გვიტევს, არამედ ეკონომიკურ, დემოგრაფიულ და სულიერ-რელიგიური ძალით ლამობს ჩვენი ერის მოსპობას. ამიტომაც, როგორც კარგად მოგეხსენებათ, დღეს ხმალზე მეტად გონიერება ჭრის, რასაც უნდა ასაზრდოებდეს მტრის სიძულვილი და მოყვრის სიყვარული!



როგორც აღნიშნავენ, თქვენ პოლიტიკურ მოღვაწეობას კიდევ ბევრი თვისება ამშვენებს. სხვისი არ ვიცი, მაგრამ ჩემთვის საკმარისია ზემორე მოხმობილი თქვენი თვალთახედვანი, რომ მეწამა თქვენი ღირებული მამულიშვილობა. ამიტომაც ვრცელი საჯარო წერილით მოგმართეთ, რომელსაც ასე ვიწყებდი: „ბატონო ირაკლი, დარწმენუბლი ვარ, რომ სხვათაგან განსხვავებით თქვენ გიყვართ საქართველო და ქართველი ხალხი და მათი სიკეთე გწადიათ. ყოველ შემთხვევაში, ჩემი აღქმით, თქვენ ბრძანდებით ის პოლიტიკური მოღვაწე, რომელსაც არ გსურთ, საკუთარ ბედნიერებასა და კარიერას გადააყოლოთ მრავალ ქარცეცხლში გამოვლილი, მაგრამ დღემდე ვინაობაშემორჩენილი ჩვენი ერი“...

ეს ჩემი აზრი არ შემიცვლია მაშინაც, როცა შიდა თუ გარე ანტიეროვნულმა ძალებმა პოლიტიკურ სივრცეს გაგაშორეს და თქვენ, უბრალო ადამიანად შეგიცანით, შემეცვალა კი არა, ეს გრძნობა გამიორკეცდა. და ახლა, როცა იმ სავარძელს ამშვენებთ, რაც თქვენ სამართლიანად შეგფერით, უფრო მეტი რწმენით გიგულებთ იმ მოღვაწედ, ვინც ძალაგამოცლილ და ღირსებადაკარგულ ხალხს, არ გაწირავთ და მივიწყების ხრამში არ გადაჩეხთ.

ამ მოვალეობის აღსრულება დღეს უფრო გაძნელებულია, რადგანაც უფრო მეტად აიჭრა მსოფლიო, უფრორე დაძაბუნდა და ღირსებააყრილია ქართველი, რომელიც დესპოტურმა ძალმომრეობამ და დიდმა გაჭირვებამ წელში გატეხა, მსოფლიო გლობალიზაციის ძლიერმა ტალღამ სამშობლოს სიყვარული გადაურეცხა და ჭმუნვა არგუნა არა იმაზე ფიქრმა, თუ რა ჭამოს თავად, არამედ — რით გამოკვებოს შვილი და შვილიშვილები. ესეც რომ არა, დღეს გაბატონებულ პოლიტიკურ რეალობას არ მოწონს სამშობლოს მოყვარული ადამიანები და მსოფლიოს სიყვარულს ახვევენ თავზე.

მეტიც, გლობალურმა ტალღამ, ჩვენ ქვეყანაშიც რომ იჩინა თავი, **სამშობლო საერთოდ ამოიღო მეტყველების ლექსიკონიდან, აბუჩად აიგდო პატრიოტიზმი, ეროვნული ტრადიციები და საერთოდ უკუაგდო ის სულიერი სამყარო, ქართველს რომ ქართველად აქცევდა**. სწორედ ამ ვითარებამ გააყოყლოჩინა ნაცბანდა, რომელიც ხარობს იმით, რომ ვისაც სამშობლო და თავისი ხალხი უყვარს, განდევნილია საცხოვრისიდან ან, უკეთეს შემთხვევაში, მივიწყების ჩრდილშია მიგდებული, ხოლო უარეს შემთხვევაში, დღისით, მზისით, ხალხმრავალ ქუჩაზეა მოკლული იმიტომ, რომ მისი ერთადერთი დანაშაულია სამშობლოს გულწრფელი სიყვარული **(გურამ შარაძე)** და მის დარად და იმავე მიზეზით მრავალი უცოდველი ახალგაზრდა ფიზიკურად განადგურებულია. **თავზარდასაცემი ის არის, რომ ამის შემოქმედი ყვარყვარე მიშა და მისი ერთგული მონები ამ დანაშაულით ისე ამაყობენ, ვითარც ერთხანს ილიას მკველობისთვის იწონებდნენ თავს.**

დიახ, ეს არის მიხუინების ლიბერალიზმი, რომელიც ცელშემართული სიკვდილივით მოევლინა საქართველოს და დღესაც ბობოქრობენ სიკვდილის მთესველნი. ხოლო ამისი შემოქმედი ყვარყვარე მიშა, შორიდან მოძღვრავს და თავბრუს ახვევს ნაცბანდას, ე.წ. ევროპულ საქართველოს და მათ უკან მაჩანჩალა „პარტუინებს, თავი მონობის უღელში რომ შეუბამთ. უსაზღვრო თავხედობა მაინც ის არის, რომ ესენი, ადამიანთა სისხლში ყელამდე ამოსვრილნი, აქეთ გვამუნათებენ; მკვლელნი — მკვლელობას გვაბრალებენ, უკაცური კაცუნები და მხდალნი ვაჟკაცობას გვასწავლიან, მწამებელნი სათნოებაზე გვესაუბრებიან და ქვეყნის მძარცველნი პატიოსნებას და ქვეყნის სიყვარულს გვიმტკიცებენ და იცით რატომ, ბატონო ირაკლი?! ჩვენში და, როგორც ჩანს, მსოფლიოში, დემოკრატია მოაზრებულია როგორც ცხოველური თავისუფლება, როცა ეს სისხლისმღვრელი და ატეხილი ქალუნები თუ კაცუნები, დემოკრატიის ნიღაბაკრულნი, ზნეობისგან დაცლილნი, უგვანონი და უსახურნი სახელმწიფოს კანონებს არად აგდებენ, თავს კონსტიტუციის საზღვრებს მიღმა მოიაზრებენ და რევოლუციით გვაშინებენ და თითს გვიქნევენ.

აი, ამ უკუღმართობის ჟამს, როცა დღე ღამედ ქცეულა და ღამე დღედ, ვითარც იმედის მომგვრელი და მსხნელი, მოევლინეთ ქვეყანას და განაცხადეთ, რომ ქართველები უნდა გავერთიანდეთ საერთო ეროვნული იდეის აღორძინებისთვის და ყველა განურჩევლად — დიდი თუ პატარა, გლეხი თუ პოლიტიკოსი უნდა დაემორჩილოს სამართლებრივ კანონს და ჩვენი კონსტიტუციის დამცველნი უნდა იყვნენო. აი, ამ ადამიანურმა განცხადებამ, რომელიც საგანგაშო ზარის რეკვად აღიქვეს ეშმაკის ნაშიერებმა, ერ-

თობ დააფრთხო ცოდვადაცემულთა „ლაშქარი“; ამოძრავდნენ, ასისინდნენ და თქვენ შემოგიტიეს, როგორც პრინციპულ მოღვაწეს, რომლის სიტყვა და საქმე მყარად არის ურთიერთგადაბმული. როგორც ჩანს, კარგად არ გიცნობენ, ბატონი ირაკლი, ეს კუდიანები, თორემ მიხვდებოდნენ, რომ ეს მათი ეშმაკისეული სისინი და შემოტევა, თქვენ კი არ შეგაკრთობთ, არამედ უფრორე გაგაძლიერებთ და შემართებულს გაგხდით.

ეს შემართება კი დღეს უდავოდ გჭირდებათ, ბატონო ირაკლი, არა იმიტომ, რომ ტურების ჩხავილი გაფრთხობთ, არამედ იმის გამოც, რომ სამწუხაროდ, ქართველებმა საერთო ენა დავკარგეთ, ურთიერთგაგება გვიჭირს. ამის თაობაზე ჯერ კიდევ ჩვენი დიდი წინაპარი ილია მართალი წუხდა და გულისტკივილით კითხულობდა: **ვართლა სადმე!** ამ პესიმიზმის და უიმედობის მიზეზი, როგორც თავად ბრძანებს, ის იყო, რომ დავკარგეთ საერთო ეროვნული სული, რასაც მოჰყვა ურთიერთნდობის და გაგების უნარის დაჩლუნგება და ისეთ დონეზე დავეშვით, რომ დავიწყეთ ღვთიური აზრის შემცველი სიტყვები: „მამული“ და „სამშობლო“, რომელთაც მაშინ ჰქონდა აზრი, როცა „ჩემი მე“ და „შენი მე“ ჩვენი ერთიანი ხალხის ცხოვრების საყევარში ერთად იყო ბმული“. მაგრამ, ეს ერთობა და საერთო ძარღვი დაიკარგა, რაც ილიას ათქმევინებს: **„ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა, ვაი იმ ქვეყანას, სადაც საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში — ყველა, საცა თვითეული ყველასთვის არ ფიქრობს და ყველა თვითეულისათვის, სადაც „მე“ ხშირია და „ჩვენ — იშვიათი“.**

ახლა, როცა ილიას ამ „განაჩენს“ ვკითხულობ, თვალწინ მიდგას ჩვენი ქვეყნის დღევანდელობა და მის სიტყვებს ძალაუნებურად ვიმეორებ: ქართველები ვართღა განა? მითუმეტეს, როცა ამ ე.წ. ოპოზიციას ვუმზერ, ქალი და კაცი ურთიერთისგან რომ არ განსხვავდებიან და ერთარსებად ქალ-კაცად ქცეულან, რომელსაც ასაზრდოებს სამშობლოს და ქართველი ხალხის ზიზღი, უსაზღვრო თავკერძოობა და ამპარტავნობა, სიხარბე, შური, სიძულვილი და სხვა. კვლავაც მინდა რეფრენივით გავიმეორო: **ქართველებო, მართლაც „ვართღა“?!** მაგრამ ამ კითხვას ილია იმიტომ იმეორებდა, რომ მიძინებული ქართველი სული გამოეღვიძებინა. ის იყო, გნებავთ მწუხრის ზარის რეკვა, რომელიც ერს მოუწოდებდა: თუ გსურთ ერისა და ქვეყნის გადარჩენა, ერთად დადექით სიმართლის, ჭეშმარიტებისა და სახელმწიფოს გადასარჩენადო. სწორედ იმ ეროვნული საერთო იდეის გადასარჩენად, რომელიც, თქვენ, ბატონო ირაკლი წამოწიეთ წინ, არის ის დიდი მიზანი, რაც ყველა ქართველს უნდა ამოძრავებდეს და ვიდრე, საქართველო მთლიანად არ განადგურებულა, მისი სულის მაცოცხლებული ძალა უნდა იყოს.

მეც მტკიცედ მწამს, რომ მრავალცეცხლგამოვლილი ქართველი ხალხი ისე არ დაკნინებულა, რომ გარე თუ შინაურ მტერს საკადრისი პასუხი არ გასცეს. ბატონო ირაკლი, თქვენ კარგად გესმით, რომ დღეს მტერი ცეცხლითა და მახვილით არ გვიტევს, არამედ ეკონომიკურ, დემოგრაფიულ და სულიერ-რელიგიური ძალით ლამობს ჩვენი ერის მოსპობას. ამიტომაც, როგორც კარგად მოგეხსენებათ, დღეს ხმალზე მეტად გონიერება ჭრის, რასაც უნდა ასაზრდოებდეს მტრის სიძულვილი და მოყვრის სიყვარული! ეს გონიერება და გრძნობა, შემორჩა უბრალო ქართველ გლეხს, იგი მეტი სიმკვეთრით ჰგიებს იმ განათლებულ ადამიანებში: მეცნიერების, ხელოვნების და კულტურის სფეროში რომ მოღვაწეობენ და ეროვნული ძარღვი არ გაწყვეტიათ, ის თავს იჩენს სპორტსმენებსა და წესიერ ბიზნესმენებში. სწორედ, ეს ადამიანები, რომელთაც არავითარი სურვილი არა აქვთ — კარიერის კიბეზე აბობღებისა, არის თქვენი საიმედო ზურგი, ესენი ბრძოლაში არ მიგატოვებენ და არ გაგეცლებიან. ამიტომაც, დიდი იმედი უნდა გქონოდეთ მათი და უფრო დიდი ყურადღება გმართებთ იმ ადამიანებისადმი, ვინც სამშობლოს და ქვეყნის ინტერესებს მაღლა აყენებს, ვიდრე საკუთარ კეთილდღეობას და სვებედს... ასეთად პირადად მე მეგულებიან ის მებრძოლები, რომლებიც წინ აღუდგნენ ნამახვანჰესის მშენებლობას, რადგანაც მისი ხელშეკრულება, რომელიც „პატრიოტმა“ ყვარყვარე მიშამ დალოცა და მისცა მსვლელობა, ხოლო გახარიამ ხელმოწერით დააგვირგვინა, მოიცავს მთელ რიგ პუნქტებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას და დემოგრაფიას ერთობ დააზარალებს და ჩვენი სახელმწიფოს საფუძველს შეარყევს... ამიტომაც, ბატონო ირაკლი, უშუალოდ თქვენ უნდა შეხვდეთ ამ პატრიოტებს და გულდასმით მოუსმინოთ მათ!

ამ წერილს ვამთავრებ, კვლავაც თქვენდამი ადრე მოძღვნილი წერილის დასკვნით, რათა მსურს ხაზი გავუსვა იმას, რომ, როგორც წინათ, ასევე დღეს მწამს თქვენი შემართებისა და მამულიშვილობის. აი, ისიც:

„ბატონო ირაკლი, თქვენი უპირველესი მოვალეობაა, ჩვენი ქვეყნის ნარეკლისაგან გაწმენდა. ეს გახლავთ უკეთილშობილესი მისია, რომლის აღსრულების ძალა თქვენ შეგწევთ. ეს არის სრულიად საქართველოს და ქართველი ხალხის დიდი სურვილი და ნება. ამიტომაც, ჩვენი საზღვრების მიღმა, ე.წ. „მეგობარი“ ტურების და აფთრების გნიასი ნუ შეგაფერხებთ და ნურც შეგაშინებთ. მაღალი ღმერთი იყოს თქვენი და თქვენი ერთგული ჯარისკაცების მფარველი ამ ღვთით კურთხეულ ბრძოლაში“!

ასე რომ, ბატონო ირაკლი, თქვენი ღვთისშეგონებული იდეა საერთო ეროვნული იდეისათვის ბრძოლისა, უნდა დაიწყოს სწორედ საბრძოლო ველის ამ ეკალ-ბარდების გაწმენდით. ეს არის, ჩემი აზრით, ქართული სახელმწიფოს გადარჩენისთვის გადადგმული პირველი ნაბიჯი! თქვენი თავკაცობით ქართველი ხალხის ამ ბრძოლას დამარცხება არ უწერია, რამეთუ მაღალ, ღვთიურ სამყაროში არის დადგენილი!

16.03.2021

„ბატონო ირაკლი, თქვენი უპირველესი მოვალეობაა, ჩვენი ქვეყნის ნარეკლისაგან გაწმენდა. ეს გახლავთ უკეთილშობილესი მისია, რომლის აღსრულების ძალა თქვენ შეგწევთ. ეს არის სრულიად საქართველოს და ქართველი ხალხის დიდი სურვილი და ნება. ამიტომაც, ჩვენი საზღვრების მიღმა, ე.წ. „მეგობარი“ ტურების და აფთრების გნიასი ნუ შეგაფერხებთ და ნურც შეგაშინებთ. მაღალი ღმერთი იყოს თქვენი და თქვენი ერთგული ჯარისკაცების მფარველი ამ ღვთით კურთხეულ ბრძოლაში“!

ავტოკეფალიის აღდგენიდან 104 წელი გავიდა...

ირაკლი ღარიბაშვილი: ჩვენი პატრიარქი ქართული ეკლესიის გამორჩეული წარმომადგენელია, რომელიც 40 წელზე მეტია, ერთგულებითა და თავდადებით ემსახურება სამშობლოს

ეს არის უდიდესი დღესასწაული, არა მხოლოდ ეკლესიისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სიონის საკათედრო ტაძარში განაცხადა, სადაც საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღესთან დაკავშირებით გამართულ პარაკლისს დაესწრო.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, გამორჩეული მღვდელმთავრები, საზეიერო პირები, საუკუნეების განმავლობაში თავდადებით ემსახურებოდნენ ქართულ ეკლესიას და სამშობლოს. პრემიერის თქმით, ქართული ეკლესიის ასეთი გამორჩეული წარმომადგენელია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

„გილოცავთ დღევანდელ დღეს. ეს არის უდიდესი დღესასწაული არა მხოლოდ ეკლესიისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის. 104 წლის წინ, 1917 წლის 25 მარტს ქართულმა ეკლესიამ აღადგინა ავტოკეფალია. დღეს აღვნიშნავთ ამ დიდებულ დღეს — ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას. ჩვენ კარგად მოგვეხსენება, რომ იმ დროს ეს მოვლენა გახდა ერთგვარი გარდამტეხი ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ერის ცხოვრებაში. ჩვენ, როგორც ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ერი, ყოველთვის ვადიდებდით და ვადიდებთ უფალს. საუკუნეების განმავლობაში ჩვენი გამორჩეული მღვდელმთავრები, სასულიერო პირები, ყოველთვის თავდადებით ემსახურებოდნენ ჩვენს ქართულ ეკლესიას და სამშობლოს. ყოველთვის, როცა ჩვენს ერს და ჩვენს ქვეყანას ედგა მძიმე დრო, ისინი ყოველთვის მტკიცედ გამოხატავდნენ ჩვენი სამშობლოს ინტერესებს. ასეთი გამორჩეული წარმომადგენელი ჩვენი ქართული ეკლესიისა გახლავთ ჩვენი პატრიარქი, რომელიც 40 წელზე მეტია, სწორედ გამორჩეული ერთგულებითა და თავდადებით ემსახურება ჩვენს სამშობლოს; აძლიერებს, როგორც ქართულ ეკლესიას, ისე ჩვენი ერის სულიერ სიმტკიცეს. ამიტომ მე კიდევ ერთხელ დიდი პატივისცემა მინდა, გამოვხატო ჩვენი პატრიარქის მიმართ, მას მივულოცო დღევანდელი დღე, სრულიად სინოდს, ქართულ ეკლესიას, თითოეულ მართლმადიდებელ ქრისტიანს ჩვენი ქვეყნისა და ვუსურვო მას ჯანმრთელობა, დღეგრძელობა, დიდხანს სიცოცხლე. კიდევ ერთხელ გილოცავთ დღევანდელ დღეს, ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

სიონის საკათედრო ტაძარში პარაკლისი საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე მიტროპოლიტმა შიომ სასულიერო პირებთან ერთად აღავლინა. პრემიერ-მინისტრი სიონში პარაკლისს პრეზიდენტთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან და მთავრობის წევრებთან ერთად დაესწრო.

ანდრია ჯაღმაიძე: სირცხვილია ასეთი საქციელი!



ვიღაცებს ძალიან ეჩქარებათ, რომ პატრიარქის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამძიმდეს, მას არაკეთილისმოსურნე ცოტა არ ჰყავს, — ამის შესახებ საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, დეკანოზმა ანდრია ჯაღმაიძემ განაცხადა. მისივე თქმით, პატრიარქი თავს კარგად გრძნობს.

ჯაღმაიძე თვლის, რომ პატრიარქის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დეზინფორმაციის გავრცელება სამარცხვინოა.

„ამ ხალხს მიზეზი არ დაელევა, რომ საპატრიარქოსა და პატრიარქისკენ ტალახი ისროლონ. სამწუხაროდ, ვიღაცებს ძალიან ეჩქარებათ, რომ პატრიარქის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამძიმდეს. ამ ადამიანებს თავად ჯანმრთელობას ვუსურვებ და სირცხვილია, ვინც ასეთ რამეს ავრცელებს. სირცხვილია ასეთი საქციელი! არაერთხელ გავრცელდა პატრიარქის შესახებ დეზინფორმაცია — აი, ახლა უნდა გადაიყენონ, ახლა უნდა შეუზღუდონ თავისუფლება. მსგავსი სპეკულაციებით ვიღაც ცდილობს, თავისი განცხადებები რეიტინგული გახადოს. პატრიარქს არაკეთილისმოსურნე ცოტა არ ჰყავს. ერთი და იგივე ხალხია სულ ყველაფრით უკმაყოფილო, მარჯვნივ წავალთ — უკმაყოფილო არიან, მარცხნივ წავალთ — მაინც უკმაყოფილო არიან“, — განაცხადა ჯაღმაიძემ.

ᲨᲕᲘᲓᲘ ᲤᲣᲭᲘ ᲓᲦᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ 2021 ᲬᲚᲘᲡ მარტში ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლის, მაღალი რანგის დიპლომატის კრისტიან დანიელსონის მედიატორობით ხანგრძლივი მოლაპარაკებები მიმდინარეობდა საპარლამენტო ოპოზიციასა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის, რაც თითქმის ერთი კვირა გაგრძელდა და... უშედეგოდ დამთავრდა. ალბათ, ამ გამოცდილი დიპლომატის პრაქტიკაში ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ოპოზიციამ „მძევლად აიყვანა“ სამოცამდე დეპუტატი, ბოიკოტი გამოუცხადა პარლამენტს და უარი ათქმევინა საკანონმდებლო ორგანოში შესვლაზე, შემდეგ კი ეს საკითხი ვაჭრობის საგნად აქცია და პარლამეტში შესვლის საზღაურად ხელისუფლებას მოსთხოვა წინა არჩევნების შედეგების გაუქმება და ხელახალი არჩევნების დანიშვნა, რის მიზეზად არჩევნების გაყალბება დაასახელა.

შვედ დიპლომატს, ალბათ, პრაქტიკაში ასეთი რამ არ ჰქონია და ჩემი ღრმა რწმენით, მომავალში, თავის მემუარებში, ამ შემთხვევას აღწერს როგორც „ქართული საპარლამენტო ცხოვრების კურიოზს“! ეს ფაქტი ევროპარლამენტის ისტორიასაც დაამშვენებს!

ყველა ხვდებოდა, რომ ეს ხანგრძლივი, ორმხრივი მოლაპარაკებები უცხო ქვეყნის დიპლომატის მედიატორობით, თანდათან უინტერესო ხდებოდა და უკვე ეტყობოდა, წინასწარ განწირული იყო მარცხისთვის. მიუხედავად ამისა, ამ სახის მოლაპარაკებების უგულებელყოფა არ იქნებოდა სწორი, რამდენადაც ევროპული ყაიდის დემოკრატია ამას საჭიროებდა და თავის მხრივ ბევრად სჯობდა იმ ქვეყნების შემთხვევებს, სადაც ასეთი საკითხები „შაჰიდის ქამრის“ გამოყენებით წყდება.

მიუხედავად მრავალრიცხოვანი უცხოელი დიპლომატების, ფასილიტატორი ელჩების აქტიური ჩარევისა, ამ მოლაპარაკებებს შედეგი არ მოჰყოლია და ორმხრივი შეთანხმების მიღწევა შეუძლებელი შეიქმნა. გამოცდილ დიპლომატებს ეს არ უნდა გაჰკვირვებოდათ, რამდენადაც ეს სწორედ ის შემთხვევა იყო, როცა მარტო მოლაპარაკებით და დიალოგით ასეთი საკითხები არ წყდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ერთ-ერთი მხარე გულწრფელი არ არის და ფარული ზრახვები გააჩნია.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ოპოზიცია ურცხვად ატყუებს საზოგადოებას, პარლამენტში არ შედის, ულტიმატუმს უყენებს მთავრობას, რომ მან აღიაროს არჩევნების გაყალბება და დანიშნოს ხელახალი არჩევნები, აგრეთვე აღიაროს მეორე უფრო „მძიმე დანაშაული“, რომ ევროკავშირის თანამეგობარ ქვეყანას თურმე პოლიტპატიმრები ჰყავს და ისინი უნდა გაათავისუფლოს. წესით, ეს ორი წინა პირობა საკმარისი იყო, რომ ხელისუფლებას თავიდანვე მოლაპარაკებაზე უარი ეთქვა, მარტო იმიტომ, რომ ოპოზიციამ კარგად იცოდა, რომ არჩევნები არ გაყალბებულა, არავითარი „პოლიტპატიმრები“ მათი მეგობრები არ არიან და, რაც მთავარია, ისიც კარგად უწყოდა, რომ მთავრობა არ დათანმხდებოდა არჩევნების გაყალბების ფაქტს (რისი მტკიცებულებებიც მას გააჩნდა)... ვერ აღიარებდა იმას, რასაც ადგილი არ ჰქონია (სხვათა შორის, პოლიტპატიმრების არსებობა პინოჩენტსაც არ უღიარებია!.) ცხადი ხდება, რომ ოპოზიციას ეს ყველაფერი სჭირდება, როგორც მიზეზი, საბაბი, რათა გაამართლოს თავისი დესტრუქციული, რაღაც „რევოლუციური“, ანტიეროვნული ქმედებები, ხოლო ეს ბრალდებები გამოიყენოს როგორც მყვირალა ლოზუნგები.

ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲡᲣᲡᲢᲘᲐ, ᲛᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓ ᲘᲐᲠᲐᲚᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ „ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ ᲛᲫᲔᲕᲚᲔᲑᲘ“, ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲣᲜᲓᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲐᲜ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲐ (4 ᲬᲔᲚᲡ ᲕᲔᲠ ᲘᲪᲓᲘᲡ, ᲔᲩᲥᲐᲠᲔᲑᲐ!), ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ ᲐᲠ ᲪᲕᲚᲘᲡ.

ᲡᲐᲡᲐᲪᲘᲚᲝᲐ, ᲡᲐᲢᲘᲠᲐᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲘᲧᲝᲡ, ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲣᲗᲐᲕᲔᲑᲔᲚᲐᲓ ᲘᲛᲘᲡ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲐ ᲗᲣ ᲘᲛ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲨᲘ, ᲛᲐᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲐᲖᲠᲘ ᲐᲠ ᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ, ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ (**„ᲔᲕᲠᲝᲞᲐ ᲐᲠᲐ, ᲢᲝᲠᲝᲚᲐ!“**), ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓᲐᲪ ᲘᲒᲘ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲒᲖᲘᲗ ᲛᲘᲐᲦ�წᲘᲝᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲐᲜᲡ, ᲮᲝᲚᲝ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲫᲣᲓᲘ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲣᲒᲓᲝ, ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲠ ᲨᲔᲕᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲘᲥ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲔᲡᲐᲫᲛᲔᲑᲐ.

ᲐᲛ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲔᲑᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲐᲖᲠᲘ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ, ᲡᲐᲜᲐᲛ ᲛᲐᲗᲘ ᲑᲔᲚᲐᲓᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲑᲠᲣᲢᲐᲚᲣᲠ ᲐᲖᲠᲡ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲪᲕᲚᲘᲡ, ᲮᲝᲚᲝ ᲔᲡ ᲠᲝᲓᲘᲡ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲐ, ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲘᲪᲘᲡ!!!

ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲓᲐ ᲘᲒᲘ ᲣᲡᲘᲜᲓᲘᲡᲝᲓ ᲣᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ, ᲐᲛᲝᲤᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲠᲔᲔᲑᲡ, ᲐᲬᲧᲝᲑᲡ ᲡᲐᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲝ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲔᲑᲡ, ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲓᲐᲣᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ Ა.Შ., ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲪᲝᲓᲔᲡ, ᲠᲝᲛ �თᲣ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲖᲦᲕᲐᲠᲡ �გᲐᲓᲐᲕᲘᲓᲐ, ᲛᲝᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔ ᲛᲮᲐᲠᲔ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲔᲡ, ᲛᲘᲘᲦᲝᲡ ᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲐ, ᲛᲐᲡᲐᲪ ᲰᲧᲕᲐᲜᲐᲜ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲭᲔᲠᲔᲑᲘ, ᲣᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ!.. (ᲔᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲡ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲑᲔᲚᲐᲓᲡ ᲰᲒᲝᲜᲘᲐ), ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲣᲐᲖᲠᲔᲑᲔᲚᲛᲐ ᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲑᲛᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲣᲦᲒᲔᲜᲚᲐᲓ ᲡᲐᲒᲐᲜ�გᲐᲨᲝ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ, ᲠᲐᲛᲐᲪ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲓᲐ�პᲘᲠᲘᲡ�პᲘᲠᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲘᲧᲕᲐᲜᲝᲡ!

ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲘᲢᲧᲕᲐᲜ, ᲛᲢᲠᲘᲡᲘᲡ, ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲓᲐ�პᲘᲠᲘᲡ�პᲘᲠᲔᲑᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲠᲘᲡᲙᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲕᲔᲚᲘᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲮᲚᲐ, ᲐᲛ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲣᲠ ᲠᲔ�გᲘᲝᲜᲨᲘ.

ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲓᲐ�პᲘᲠᲘᲡ�პᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲨᲘᲜᲘᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲡ, ᲐᲡᲔ ᲠᲛᲐ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲝᲑᲡ (ᲗᲝᲠᲔᲛ ᲗᲐᲙᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲝᲛᲝ ᲨᲔᲕᲚᲔᲜ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ, ᲔᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲐᲓᲐᲠᲓᲔᲑᲡ)! ᲔᲡ ᲨᲘᲨᲘ, ᲔᲢᲧᲝᲑᲐ, ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲣᲛᲫᲐᲤᲠᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ ᲓᲐᲘᲜᲐᲮᲐ ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲗᲐᲕᲥᲐᲠᲘᲐᲜᲘ, ᲑᲐᲥᲘᲑᲣᲥᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲘ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲨᲔᲒᲠᲝᲕᲘᲚᲘ „ᲨᲐᲚᲘᲙᲝᲡ ᲤᲐᲜᲩᲐᲢᲣᲠᲨᲘ“!..

...ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ ᲠᲝ�გᲝᲠ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲓᲔᲑᲐ. ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲘᲡ ᲙᲘ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲛᲝᲪᲐᲛᲓᲔ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲝᲜᲔᲠᲘ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲘᲓᲒᲔᲡ ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲘᲗᲮᲝᲕᲓᲔᲡ იმას, რაც მათ უკვე მოპოვებული აქვთ, ასეთი რამ არავის არსად უნახავს და არ გაუგონია.

ალბათ, ქვეყნის საპარლამენტო მმართველობაზე გადასვლა ჯერ კიდევ ნაადრევი იყო საქართველოში!

ᲙᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜ ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲡᲝᲜᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲗᲣ ᲮᲕᲐᲚ ᲛᲔᲝᲠᲔᲓ ᲩᲐᲛᲝᲓᲘᲡ. ᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐᲓ, ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲕ, ᲮᲐᲚᲮᲡ ᲠᲬᲛᲔᲜᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲙᲐᲠ�გᲝᲗ ᲓᲐ ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲝᲚᲐᲚᲐᲢᲔ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲓᲐᲣᲗᲛᲝᲗ!

ᲑᲝᲜᲓᲝ ᲥᲝᲑᲣᲚᲘᲐ,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ᲒᲐᲔᲠᲝᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

ᲝᲙᲣ�პᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ

2021 ᲬᲚᲘᲡ 24 ᲛᲐᲠᲢᲡ, ᲟᲔᲜᲔᲕᲐᲨᲘ, �გᲐᲔᲠᲝᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲛ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲝᲙᲣ�პᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲐ — „ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲐᲜ“ ᲛᲘᲘᲦᲝ.



ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘᲗ ᲚᲐᲨᲐ ᲓᲐᲠᲡᲐᲚᲘᲐᲛ ᲕᲘᲓᲔᲝᲛᲘᲜᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲬᲐᲠᲐᲓᲒᲘᲜᲐ. ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐᲨᲘ ᲛᲐᲜ ᲘᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲖᲔ. ᲛᲐᲜ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲘ ᲛᲝᲬᲕᲝᲓᲔᲑᲘᲡᲐ, ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲠᲘᲡ ᲝᲤᲘᲡᲘᲡ ᲰᲥᲝᲜᲝᲓᲐ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲨᲘ ᲨᲔᲡᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲝᲙᲣ�პᲐᲪᲘᲝ ᲫᲐᲚᲐ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲮᲔᲚᲡ ᲣᲨᲚᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲛᲝᲜᲘᲢᲝᲠᲘᲜ�გᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲦᲬᲔᲕᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲝᲙᲣ�პᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲠᲔ�გᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ.

ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲛ ᲛᲘᲛᲝᲘᲮᲘᲚᲐ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲨᲘᲪ ᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲝᲙᲣ�პᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲘᲡ ᲣᲮᲔᲨᲘ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲔᲑᲘ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲗ ᲓᲐᲖᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲒᲐᲜᲘᲪᲓᲘᲡ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲨᲘ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲝᲙᲣ�პᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ ᲥᲐᲠᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ.

ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲛ ᲛᲘᲛᲝᲘᲮᲘᲚᲐ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲨᲘᲪ ᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲝᲙᲣ�პᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲘᲡ ᲣᲮᲔᲨᲘ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲔᲑᲘ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓᲐᲪ ᲘᲒᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲘᲡ ᲣᲮᲔᲨᲘ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲔᲑᲘ ᲘᲬᲕᲘᲕᲘᲡ.

ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐᲨᲘ ᲚᲐᲨᲐ ᲓᲐᲠᲡᲐᲚᲘᲐᲛ ᲮᲐᲖᲘ �გᲐᲣᲡᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲝᲙᲣ�პᲐᲪᲘᲝ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝᲓ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲖᲐᲰᲐᲡ ᲒᲐᲮᲔᲚᲐᲫᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲑᲘᲗ 12 ᲬᲚᲘᲗ �გᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲪᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲛᲐᲨᲤᲝᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲘᲐ, �თᲣ ᲠᲝᲒᲝᲠᲛᲐᲜᲘᲪᲘᲐᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲑᲔᲓᲘᲗ ᲡᲐᲝᲙᲣᲪᲐᲪᲘᲝ ᲠᲔᲟᲘᲛᲘ.

ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲛ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲡ ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ, ᲨᲝᲠᲡ ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲐᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲖᲔ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲖᲔᲬᲝᲚᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲐᲮᲓᲘᲜᲝᲡ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲛᲘᲠᲘ ᲓᲔᲡᲢᲐᲑᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ. ᲖᲔᲛᲝᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲜᲐᲗᲚᲐᲓ ᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲗᲐ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲗᲐ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲣᲚᲝᲑᲐᲡ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲗᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲠᲐᲪ ᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲣᲬᲧᲝᲑᲡ ᲝᲙᲣᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲣᲡᲯᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ, ᲠᲐᲛᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲛᲘ ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲘᲝᲡ.

ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐᲨᲘ ᲚᲐᲨᲐ ᲓᲐᲠᲡᲐᲚᲘᲐᲛ ᲮᲐᲖᲘ �გᲐᲣᲡᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲝᲙᲣᲪᲐᲪᲘᲝ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝᲓ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲖᲐᲰᲐᲡ ᲒᲐᲮᲔᲚᲐᲫᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲠᲐᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲖᲔ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲖᲔᲬᲝᲚᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲐᲮᲓᲘᲜᲝᲡ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲛᲘᲠᲘ ᲓᲔᲡᲢᲐᲑᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ. ᲖᲔᲛᲝᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲜᲐᲗᲚᲐᲓ ᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ-ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ 2008 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲞᲔᲠ

სალომე ზურაბიშვილი: კვლავ მოვუწოდებ ყველა მხარეს, უპირატესობა მიანიჭოს ქვეყნის და არა ვიწრო პოლიტიკურ ინტერესებს

ამერიკასა **და ევროკავშირს სტაბილური და უფრო დემოკრატიული საქართველო სჭირდებათ, როგორც ძლიერი და საიმედო პარტნიორი გამოწვევებით სავსე რეგიონში. კვლავ მოვუწოდებ ყველა მხარეს, უპირატესობა მიანიჭოს ქვეყნის და არა ვიწრო პოლიტიკურ ინტერესებს,** — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა.

სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, შექმნილი კრიზისის გახანგრძლივება მხოლოდ საქართველოს არაკეთილმოსურნე ძალებისთვის არის ხელსაყრელი. მისივე თქმით, ქვეყანას სჭირდება სტაბილურობა, რომლის მიღწევასაც მხოლოდ სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებით და ახალი დემოკრატიული რეფორმების გატარებით შევძლებთ.

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ შექმნილი პოლიტიკური კრიზისის დაძლევის პროცესში ამერიკა და ევროკავშირი საქართველოს გვერდით დგანან და მხარდაჭერას გვიცხადებენ. აშშ და ევროკავშირი სრულად იზიარებენ ეუთოს დასკვნას, რომლის თანახმადაც 2020 წელს საქართველოს საპარლამენტო არჩევნები კონკურენტულ გარემოში, ფუნდამენტური უფლებების დაცვით ჩატარდა“, — აცხადებს პრეზიდენტი.

კელი დეგნანი: აშშ-ს ღრმად სწამს, რომ პოზიციების შეჯერების ადგილი პარლამენტშია!

კვლავ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, რომ პარტიები შეძლებენ შეთანხმებას, თუკი იარსებებს პოლიტიკური სურვილი, რომ ისინი წავიდნენ გაბედულ კომპრომისზე, — ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის ელჩმა კელი დეგნანმა განაცხადა. მისი თქმით, გასულ კვირას თავად მონაწილეობდა პრეზიდენტ შარლ მიშელის სპეციალური წარმომადგენლის, ელჩ დანიელსონის მედიაციით გამართულ მოლაპარაკებებში.

„მიუხედავად იმისა, რომ პარტიებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, მცდელობის ნაკლებობა არ ყოფილა. ისინი ძალისხმევას არ იშურებდნენ. მე კვლავ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, რომ პარტიები შეძლებენ შეთანხმებას, თუკი იარსებებს პოლიტიკური სურვილი, რომ წავიდნენ გაბედულ კომპრომისზე. მხარს ვუჭერ ამ კრიზისის დაუყოვნებლივ მოგვარებას, რადგან ვფიქრობ, საქართველოს აქვს სერიოზული გამოწვევები, რომელზეც უნდა გადაიტანოს ყურადღება. თუმცა კარგად გვესმის, რომ ქართული საზოგადოება გაყოფილია და შეერთებული შტატების ღრმა რწმენაა, რომ პოზიციების შეჯერების ადგილი პარლამენტშია. პარლამენტის წევრებს აქვთ შესაძლებლობა, განიხილონ საკითხები და მიიღონ კანონმდებლობა მნიშვნელოვანი რეფორმებისთვის, რაც საქართველოს ასე ძალიან სჭირდება დემოკრატიული განვითარების ამ ეტაპზე. პარლამენტი, რომელშიც ერთი პარტია დომინირებს, არ არის ჯანსაღი, ეს არ არის ის, რასაც ქართველმა ამომრჩეველმა მისცა ხმა გასული წლის ოქტომბერში“, — აღნიშნა კელი დეგნანმა.

მისივე თქმით, საჭიროა, არსებობდეს ჯანსაღი მმართველი პარტია, რომელიც საქართველოს პარლამენტში გაწონასწორებული იქნება ჯანსაღი ოპოზიციით.

სენატორი რიში: თუ პროგრესი არ გამოჩნდა, ფინანსური მხარდაჭერა ასე ვერ გაგრძელდება



აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ევროპის და რეგიონული უსაფრთხოების ქვეკომიტეტში გამართულ მოსმენაზე, საქართველოში „დემოკრატიის განმტკიცებაზე“ ისაუბრეს. მოსმენა ევროპის ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ, დემოკრატმა სენატორმა ჯინ შაჰინმა მოიწვია.

მომხსენებლებად მოწვეულ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილეს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების საკითხებში კარა მაკდონალდს და სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილეს ევრაზიის საკითხებში ჯორჯ კენტს შეკითხვები რამდენიმე რესპუბლიკელმა და დემოკრატმა სენატორმა დაუსვა. მათ შორის იყო სენატორი ჯიმ რიში, რომელიც სენატის საგარეო კომიტეტის უფროსი რესპუბლიკელი წევრია. მოსმენის შემდეგ „ამერიკის ხმამ“ სენატორ რიშს რამდენიმე შეკითხვა დაუსვა.

მოსმენაზე თქვენ საქართველოსთვის დახმარების მიცემის პირობების შესაძლო დაწესებაზე დასვით შეკითხვა. რას ფიქრობთ ამ პირობითობაზე, თუ შეიძლება განმარტეთ ეს შეკითხვა.

თვითონ ის ფაქტი, რომ ეს შეკითხვა დავსვი, ცხადია, იმაზე მიუთითებს, რომ ამ თემაზე ვფიქრობ. აქ ბევრ ჩვენგანს ძალიან, ძალიან სურს, რომ საქართველო წარმატებული იყოს. ჩვენ საქართველოში 2012 წლის თავდაპირველ არჩევნებზე ვიყავით და უკან ძალიან ოპტიმისტური განწყობით დავბრუნდით. (მას შემდეგ) ვნახეთ უკუსვლა და როგორც ჩანს, ვითარება არ უმჯობესდება, ის უარესდება. ვიცი, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკებები, მიმდინარეობს მედიაცია. ორივე პოლიტიკურ პარტიას მტკიცედ მოვუწოდებ დასხდნენ და გამოსავალი მონახონ. თუ ახლა ვერ მონახეს სწორი გამოსავალი, მას ვერასოდეს მონახავენ. მეორე მხრივ, ჩვენ საქართველოს ბევრი თვალსაზრისით ვეხმარებით, მათ შორის, ფინანსურადაც. ეს ვერ გაგრძელდება, თუ პროგრესი არ იქნება. ამ ეტაპზე ეს მხოლოდ განიხილება, მაგრამ ყველას უნდა ჰქონდეს გონებაში ის, რომ პროგრესი გამოჩნდეს.

— რაიმე ვადები ხომ არ გაქვთ მხედველობაში?

— არ ვფიქრობ იმ ეტაპზე ვიყოთ, რომ ვადებზე ვისაუბროთ. ამ ეტაპზე არა.

— არსებობს მოსაზრება, რომ მთავრობას მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება კომპრომისის მონახვაში. თქვენ იზიარებთ თუ არა ამ მოსაზრებას და ფიქრობთ თუ არა, რომ მთავრობა რამეს სხვაგვარად უნდა აკეთებდეს?

— მთავრობა, ისევე როგორც პოლიტიკური პარტიები, ადამიანებისგან შედგება. როდესაც მოლაპარაკებებზე ვსაუბრობთ, ყველაფერი დამოკიდებულია ადამიანების კეთილ ნებაზე, კეთილსინდისიერებასა და ჩართული ადამიანების ხასიათებზე. თუ ისინი სწორად გაერთიანდებიან, თუ ყველას ერთი მიზანი აქვს, თუ ყველა კეთილსინდისიერად იქცევა, არ არსებობს მიზეზი, რის გამოც ეს სიტუაცია შეიძლება გადაუჭრელი დარჩეს. აქ ყველას ეკისრება პასუხისმგებლობა. ცხადია, მათ ვინც ძალაუფლებაში არიან, ცოტა მეტი პასუხისმგებლობა აქვთ.

ია მეურმიშვილი,
„ამერიკის ხმა“

დავითგარეჯთან დაკავშირებით სანდრო ბრეგაძის მიერ გავრცელებული ინფორმაცია სიცრუეა!

„გვსურს, საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია პოლიტიკური გაერთიანება „ქართული მარში — ეროვნული მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის სანდრო ბრეგაძის მიერ Facebook-ზე გავრცელებულ ფოტოსა და მოწოდებასთან დაკავშირებით. სანდრო ბრეგაძემ გამოაქვეყნა ფოტოსურათი, სადაც ჩანს საექსკურსიო ჯგუფი აზერბაიჯანის დროშებით. „ამ ახალ ფოტოზე დავითგარეჯში აზერბაიჯანელი სტუდენტების ექსკურსიაა აღბეჭდილი! ტაძრებში და მის გარეთ შეიარაღებული ჯარი დგას. ყოველივეს პასუხად — ჩვენი ხელისუფლება დუმს და სძინავს. როდესაც ხელისუფლება არ იცავს მიწაწყალს, ერი ვალდებულია, თავად აიღოს სადავეები ხელში და გაათავისუფლოს ოკუპირებული ტერიტორია“, — წერს სანდრო ბრეგაძე.

„ქართული მარშის“ ლიდერის მიერ გავრცელებული ფოტო და ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს და წარმოადგენს „ფეიკნიუსს“. სიცრუეა, თითქოს დავითგარეჯში ექსკურსიებზე დადიან აზერბაიჯანელი სტუდენტები. რაც შეეხება ფოტოსურათს, რომელიც სანდრო ბრეგაძემ თავის პოსტს დაურთო, იგი გადაღებულია დაახლოებით ერთი წლის წინ, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, საზღვრის ხაზიდან 3 კილომეტრში, ჰეიდარ ალიევის სახელობის ნაკრძალში, რომელიც შარშან აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა გახსნა და ღონისძიებას აზერბაიჯანის მოქალაქეები დაესწრნენ“, — აღნიშნულია შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

ახალი საკონსტიტუციო ცვლილებები პარლამენტში

პარლამენტში ახალი საკონსტიტუციო ცვლილებები დარეგისტრირდა. ცვლილებები 29 მარტის ბიუროს სხდომაზე ინიცირდება. კონსტიტუციური პროექტით, ერთი მხრივ, საარჩევნო ბარიერი 5-დან 3 პროცენტამდე მცირდება. მეორე მხრივ კი, ფრაქციის დაკომპლექტების წესი იცვლება.

კერძოდ, ფრაქციის შექმნა 7 დეპუტატის ნაცვლად, 4 დეპუტატს შეეძლება. ახალი საკონსტიტუციო ცვლილებები „ქართულ ოცნებასა“ და „მოქალაქეებს“ შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში მომზადდა.

27 იანვარი — ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის დღე!

საქართველოში 27 იანვარი ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის დღედ გამოცხადდება. საკითხზე მთავრობის სხდომაზე იმსჯელეს. საკითხზე მომხსენებელი ვიცე-პრემიერი, საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი იყო.

„საქართველოსა და ისრაელს შორის მეგობრული ურთიერთობების და ქართველ და ებრაელ ხალხს შორის მრავალსაუკუნოვანი კავშირების გათვალისწინებით ეს არის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება“, — განაცხადა დავით ზალკალიანმა.

თამთა მეგრელიშვილი: შალიკო პირდაპირ მიშა სააკაშვილის ანტიდასავლური იდეების გამხმოვანებელია!

ის პირდაპირ წარმოადგენს მიშა სააკაშვილის ანტიდასავლური იდეების გამხმოვანებელს, — ამის შესახებ იურისტი თამთა მეგრელიშვილი სოციალურ ქსელში წერს და „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერის შალვა ნათელაშვილის განცხადებას ეხმიანება. მეგრელიშვილის თქმით, კომიკურთან ერთად ეს პიროვნება საშიშიც არის.

„საშიშია იმდენად, რამდენადაც ის პირდაპირ წარმოადგენს მიშა სააკაშვილის ანტიდასავლური იდეების გამხმოვანებელს. დიახ, რასაც ფიქრობს, მაგრამ თქმას ვერ ბედავს სააკაშვილი, ალაპარაკებს ამ კლოუნს. შემდეგ კი, მისი მითითებით, საკუთარ ფანჩატურში მასპინძლობს სააკაშვილის სხვა მონებს“, — წერს მეგრელიშვილი.

შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოში დემოკრატიული არჩევნები მაშინ დასრულდა, როცა NDI და IRI შემოვიდნენ.

გურამ მაჭარაშვილი: „ნაციონალურ მოძრაობას“ არ აწყობს არც ერთი სხვა პარტიის პარლამენტში შესვლა!

პარტნიორების კონსულტაციების საფუძველზე და საკანონმდებლო დონეზე ყველაფერს გავაკეთებთ, რათა მცირე მხარდაჭერის პარტიებსაც კი ჰქონდეთ საშუალება, საქართველოს პარლამენტში შემოვიდნენ, — ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გურამ მაჭარაშვილმა განაცხადა.

„ნაციონალურ მოძრაობას“ არ აწყობს არც ერთი სხვა პარტიის პარლამენტში შესვლა. ეს ბოლო ხუთი თვის განმავლობაში პოლიტიკური შეუთანხმებლობის პროცესში კარგად გამოჩნდა. მოლოდინი მაქვს, რომ ბევრი სხვა პარტია იმ პროცესში მიიღებს მონაწილეობას, რაც ხელს შეუწყობს პარლამენტში მცირე მხარდაჭერის მქონე პარტიების შესვლას. ოპოზიციის წინასწარი მზაობა შეუთანხმებლობისთვის მტკიცდება იმით, რომ საქართველოში კრისტიან დანიელსონის ჩამოსვლის წინ ისინი აქციებს აანონსებენ, შეთანხმებისთვის „ქართული ოცნების“ მზაობა კი მტკიცდება იმით, რომ კონკრეტული შეთავაზებები გვაქვს, რომელიც ცნობილია ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელისთვის“, — განაცხადა გურამ მაჭარაშვილმა.

◎ ალტერნატიული ენერგეტიკა

გერმანიისა და დანიის შემდეგ ელექტროენერგია ფინეთშიც უფასო გახდა

ელექტროენერგიის უარყოფითი ფასი, რაც უკვე ჩვეული მოვლენაა გერმანიისა და დანიისთვის, გაცილებით უფრო ჩრდილოურ ფინეთშიც აღირიცხა, თანაც ზამთარში. ეს ერთ-ერთია ალტერნატიული ენერგეტიკის განვითარების შედეგებს შორის, — იუწყება ფინური Yle.

რა მოხდა?!

ფინეთის ელექტროენერგიის სპოტურ ბაზარ Nord Pool-ზე ისტორიაში პირველი უარყოფითი ფასი — 1 მგვტ/სთ-ში მინუს 20 ევროცენტი 10 თებერვალს, ადრე დილით აღირიცხა. 22 თებერვალს, შაბათს საბითუმო ელექტროენერგია ქვეყანაში ასევე თითქმის უფასო იყო — 2-2 ევრო მგვტ/სთ-ში, რაც ჩვეულ ფასზე რამდენჯერმე ნაკლებია.

10 თებერვლის მინიმუმი ზამთრისთვის ანომალიურად თბილი ამინდის, ქაღალდის კომბინატებზე გამართული გაფიცვების გამო საწარმოო მოხმარების შემცირებისა და ფინეთს მიღწეული ციკლონის ფონზე ქარის ელექტროსადგურების პიკური გამომუშავების ერთობლიობით იყო განპირობებული.

რა უნდა ვიცოდეთ ელექტროენერგიის ევროპული ბაზრის შესახებ?!

ელექტროენერგიის უარყოფითი ფასები ბოლო წლებში ტიპური გახდა ევროკავშირისთვის. ლიდერ გერმანიაში უარყოფითი ტარიფები წლის განმავლობაში უკვე რამდენიმე ათასი საათის განმავლობაში დასტურდება, 2019 წელს კი რამდენიმე შაბათ-კვირა მთლიანად უფასო აღმოჩნდა.

უარყოფითი ფასების მთავარი მიზეზი ევროპაში ალტერნატიული, განსაკუთრებით მზისა და ქარის, ანუ იმგვარი ენერგეტიკის სწრაფი განვითარებაა, რომელიც დიდწილადაა დამოკიდებული ამინდზე და გამომუშავების გამოკვეთილი პიკებით ხასიათდება. მანევრირების დაბალი უნარის მქონე „საბაზისო“ თბო და ბირთვული ენერგეტიკისთვის კი ამ პირობებში უფრო უსაფრთხოცაა და საბოლოო ჯამში, უფრო იაფიც, მინუსში იმუშაოს, ვიდრე სიმძლავრე ამციროს.

2018 წლის საახალწლო პერიოდში ალტერნატიულმა წყაროებმა გერმანიაში ენერგიის 100% უზრუნველყვეს — თუმცა მხოლოდ სიმბოლურად, რადგან ჩვეულებრივი თბო და ატომური ელექტროსადგურები მუშაობას განაგრძობდნენ.

მთლიანობაში, ენერგიის რეწარმოება ენერგოსისტემებს უფრო ავნებთ: მათი ოპერატორები იძულებულები არიან, მნიშვნელოვანი თანხები ხარჯონ სიმძლავრეების ბალანსირებაში. ევროკავშირი იძულებულიც კი შეიქმნა, ალტერნატიული ენერგეტიკისთვის „6 საათის წესი“ შემოეღო — ენერგოსუბსიდიებს უკან იწვევენ ერთი დღით, თუ ამ დღეს 6-ზე მეტი საათის განმავლობაში უარყოფითი ფასებია მოსალოდნელი.

ჯერჯერობით ეს ყველაფერი საცალო ბაზარზე ნაკლებად აისახება: Nord Pool-ის საბითუმო ფასების საფუძველზე ქსელზე სახლების დაერთების დინამიური კონტრაქტები, რა თქმა უნდა, არსებობს, თუმცა ფინეთის საცხოვრებელი მეურნეობების მხოლოდ 10%-ს მოიცავს, დაერთების ფასში კი არა მარტო ელექტროენერგია შედის. ამგვარად, საუბარია არა იმაზე, რომ ქსელები მომხმარებლებს გადაუხდიან, არამედ, მაქსიმუმ, სიმბოლურ ფასდაკლებებზე.

რა იქნება შემდეგ?

პიკური გენერაციის პრობლემა უახლოეს ხანებში ვერ გადაწყდება — იგი უკვე ასწლეულია, აწყდება საწარმოო მასშტაბებში ელექტროენერგიის შენახვის შეუძლებლობას. თუმცა ბოლო დროს გაჩნდა პრობლემის გადაჭრის კონტურები ელექტროობის საწარმოო საცავების სახით (მაგალითად, Tesla Megapack-ის გადაწყვეტილება ლითიუმის აკუმულატორების საფუძველზე). საქმეს შესაძლოა, წაადგეს ელექტრომობილებიც, რომელთა მასობრივი დატენვა წესით, ჭარბდენიანობის ღამის საათებში უნდა ხორციელდებოდეს.

მოსალოდნელია, რომ ევროპაში ელექტროენერგიის უარყოფითი ფასები სულ უფრო გახშირდება. ეს, მათ შორის, გლობალური დათბობით იქნება განპირობებული: იგი ერთდროულად ამცირებს გათბობის ხარჯებს და ზრდის ატმოსფეროში ენერგიის მარაგს. თუმცა ელექტროენერგიის საშუალო ფასის შემცირებას ჯერ მაინც არ უნდა ველოდოთ.

ფინეთის მეზობელ კარელიაში მსგავსი პრობლემები არ აქვთ: კემის ქარის 60 მვტ-იანი ელექტროსადგურის პროექტი ჩინური ინვესტიციებით ბოლო პერიოდში მიჩუმდა.

ASTRAZENECA-სა და PFIZER-ს შორის არჩევანის გაკეთებას შეეძლებთ

65 წელს ზემოთ მოქალაქეებს დღეიდან საშუალება ექნებათ არჩევანი AstraZeneca-სა და Pfizer-ს შორის გააკეთონ და რეგისტრაციაც შესაბამისად გაიარონ. ამ ეტაპზე ვაქცინაციის პროგრამაში 26-მდე მრავალპროფილური კლინიკაა ჩართული. გარდა ამისა, ვაქცინაციის შემდეგ დაყოვნების ოთახში მოცდის დრო, როგორც AstraZeneca ასევე Pfizer-ის შემთხვევაში, 30-დან 45 წუთამდე იზრდება.

„გადაწყდა, რომ ორივე ვაქცინა გამოიყენება როგორც სამედიცინო პერსონალის, ასევე 65 წელს გადაცილებული მოქალაქეების ასაცრელად. ყველაზე ეფექტიანად ითვლება Pfizer-ი, 95%-იანი ეფექტიანობა ახასიათებს. ორივე ვაქცინა 100%-ით იცავს მძიმე გართულებებისგან ინფიცირებულებს და ამით ამცირებს მათი ჰოსპიტალიზაციის შემთხვევებს და ასევე სიკვდილიანობას, რაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამავე დროს, მათ თითქმის ერთნაირად აქვთ ის გვერდითი მოვლენები, რაც საერთოდ კოვიდვაქცინებს ახასიათებს, რომლებიც შეყვანიდან 1 ან 2 დღეში გადის“, — განაცხადა გამყრელიძემ.

მისივე თქმით, უშუალოდ Pfizer-ით აცრა სავარაუდოდ მომავალი კვირიდან დაიწყება.

ადვოკატები კლინიკა „იმედის“ ინვენტარის დათვალიერებას მოითხოვენ

ახალციხეში ვაქცინის გაკეთების შემდეგ გართულებული მდგომარეობით გარდაცვლილი ექთნის ოჯახის ადვოკატებმა გუშინ გამოძიებას შუამდგომლობით მიმართეს. უფლებადამცველები კლინიკა „იმედის“ ინვენტარის დათვალიერებას მოითხოვენ.

ადვოკატები აცხადებენ, რომ კლინიკიდან, სადაც მეგი ბაქრაძეს აცრა გაუკეთდა, სრული სამედიცინო ისტორია ჯერ არ მიუღიათ. მათი მთავარი მოთხოვნაა, გადაეცეთ დოკუმენტაცია იმის შესახებ, თუ რა პროცედურები ჩაუტარდა მეგი ბაქრაძეს ვაქცინაციამდე და აღმოუჩინეს თუ არა აცრის შემდეგ მას დროული სამედიცინო დახმარება.

„ამ ეტაპზე გვსურს, გადმოგვცეან ყველა დოკუმენტი, რომელიც არსებობს დღეის მდგომარეობით სისხლის სამართლის საქმეში. ჩვენთვის უცნობია, რა საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა ახალციხეში. გამოკითხულების სახელები და გვარებიც კი არ ვიცით ან რა საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა ახალციხის კლინიკაში. როგორც იცით ჩვენ რამდენიმე დღის წინ მივწერეთ AstraZeneca-ს ბრიტანეთის ფილიალს და ვთხოვეთ რომ ჩართულიყვნენ გამოძიებაში. ველოდებით მათგან რეაგირებას. ამ ეტაპზე მათგან პასუხი არ გვაქვს“, — განაცხადა ადვოკატმა ნინო ამაღლობელმა.

ყალბი დოკუმენტი 200 ლარის სანაცვლოდ!

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა ყალბი ოფიციალური დოკუმენტების დამზადება-გასაღების ფაქტზე, ერთი პირი დააკავეს.

როგორც მათ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, ბრალდებულმა ორ დაინტერესებულ პირს იმერეთის რეგიონში მდებარე ერთ-ერთი სამედიცინო დაწესებულების სახელით, შესაბამისი ლაბორატორიული კვლევის გარეშე, 200 ლარის სანაცვლოდ, დაუმზადა და გადასცა ახალი კორონავირუსის PCR ლაბორატორიული კვლევის უარყოფითი შედეგების ამსახველი დოკუმენტები.



საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებულია დიდი ოდენობით, წინასწარ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული შეუვსებელი თაბახის ფურცლები.

ქალაქ დოჰაში გამოფენაზე 15 ქართული კომპანიის პროდუქციაა წარმოდგენილი

23 მარტს ქ. დოჰაში სოფლის მეურნეობის საერთაშორისო გამოფენა Agriteq 2021 გაიხსნა. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და კატარის სახელმწიფოში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, გამოფენაზე 15 ქართული კომპანიის — გურიელი, ნათსჯი, ჩიკორი, გეო ნატურალი, აგრითაჩი, ელექსირ საქართველო, ნუგბარი, რუსი 2, მაგრიტო, კამპა, მანნა, ბორჯომი, კულა, Georgia' Natural და Kind&Noble — პროდუქციაა წარმოდგენილი.

როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტრო იუწყება, პანდემიით შექმნილი ვითარების და დაწესებული შეზღუდვების გამო, ქ. დოჰაში, გამოფენაზე Agriteq 2021 ქართულ კომპანიებს კატარში საქართველოს საელჩო წარმოადგენს.

„Agriteq სპარსეთის ყურის რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური საერთაშორისო გამოფენაა, რომელსაც მრავალი ათასი ვიზიტორი ჰყავს. წელს გამოფენაში მონაწილეობას 42 ქვეყანა და სოფლის მეურნეობის სექტორში მოქმედი 208 ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანია იღებს. გამოფენაში მონაწილეობა მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა კატარსა და, ზოგადად, სპარსეთის ყურის რეგიონში ქართული პროდუქციის პოპულარიზაციის და ექსპორტის ზრდის ხელშეწყობისთვის. Agriteq 2021 წლის 27 მარტს დასრულდება“, — ნათქვამია განცხადებაში.

№ 63-64. ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ-ᲙᲘᲠᲐ, 26-28 ᲛᲐᲠᲢᲘ, 2021 ᲬᲔᲚᲘ.

ᲥᲔᲑᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲮᲘᲜᲘᲡᲐ

ᲘᲛ ᲛᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲑᲐᲠᲘᲡᲐ



ᲩᲕᲔᲜᲒᲐᲜ უᲫᲠᲝᲝᲓ წᲐᲡᲣᲚᲛᲐ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲙᲘᲜᲝᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲛᲐ ᲡᲝᲡᲝ ᲩᲮᲐᲘᲫᲔᲛ 1978 ᲬᲔᲚᲡ ᲓᲐᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲮᲣᲗᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝᲜ ᲤᲘᲚᲛᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲨᲔᲘᲪᲐᲕᲓᲐ ᲡᲐᲛ ᲡᲔᲠᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲔᲠᲥᲕᲐ „ᲗᲣᲨᲘ ᲛᲔᲪᲮᲕᲐᲠᲔ“.

ᲐᲛ ᲤᲘᲚᲛᲡ, ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲩᲘᲜᲝ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲤᲠᲘᲐᲓ ᲡᲐᲩᲘᲜᲝ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲔᲑᲐ: ᲤᲘᲚᲛᲨᲘ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲓᲐ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲘ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲮᲘᲖᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲮᲝᲚᲝ �თᲣᲨ ᲛᲔᲪᲮᲕᲐᲠᲔᲗᲐ ᲠᲝᲚᲔᲑᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲜᲔᲜ ... ᲗᲐᲕᲐᲓ ᲗᲣᲨᲘ ᲛᲔᲪᲮᲕᲐᲠᲔᲔᲑᲘ. ᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲐᲪ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲜᲔᲜ. ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲨᲘ ᲡᲐᲪᲔᲛᲘ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ.

ᲡᲝᲡᲝ ᲩᲮᲐᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝ ᲤᲘᲚᲛᲛᲐ ᲡᲐᲕᲡᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ ᲓᲐᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲐ.

ᲡᲝᲡᲝ ᲩᲮᲐᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝ ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ ᲓᲐᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲐ.

ᲡᲝᲡᲝ ᲩᲮᲐᲘᲫᲔᲛ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲗᲣᲨ ᲛᲔᲪᲮᲕᲐᲠᲔᲡ ᲛᲝᲰᲙᲘᲓᲔᲑᲓᲐ ᲮᲔᲚᲡ, ᲒᲐᲓᲐᲘᲦᲝ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ „ᲫᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲒᲐᲚᲝᲑᲚᲔᲑᲘ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ ᲐᲠ ᲛᲝᲣᲞᲝᲕᲔᲑᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲝᲘᲮᲕᲔᲭᲐ ᲐᲠᲐᲜᲐᲙᲚᲔᲑ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ, ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲯᲘᲚᲓᲝ. ᲡᲐᲮᲔᲚᲓᲝᲑᲠ, ᲐᲛ ᲤᲘᲚᲛᲛᲐ ᲗᲐᲐᲒᲝᲜᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲠᲣᲡᲘ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲝᲡᲘ **ᲐᲠᲡᲔᲜᲘ ᲒᲣᲚᲘᲒᲐ** ᲓᲐᲔᲬᲔᲠᲐ ᲛᲘᲛᲨᲘᲓᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲦᲠᲛᲐᲐᲖᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲔᲡᲘᲔ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐᲖᲔ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲙᲔᲗᲘᲚᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲪ ᲓᲐ ᲐᲬᲛᲧᲝᲪ.

ᲕᲘᲛᲝᲬᲛᲔᲑᲗ ᲜᲐᲬᲧᲕᲔᲢᲔᲑᲡ ᲐᲠᲡᲔᲜᲘ ᲒᲣᲚᲘᲒᲐᲡ ᲬᲘ�გᲜᲘᲓᲐᲜ „ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡᲐ“ (ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 1980).

„ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲕᲣᲧᲣᲠᲔᲑᲓᲘ ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝᲜ ᲤᲘᲚᲛᲡ „ᲫᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲒᲐᲚᲝᲑᲚᲔᲑᲘ“, ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲛᲔᲯᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲚᲔᲒᲐ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲝᲡᲘ. ᲕᲐᲛᲘᲩᲜᲔᲕ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲒᲐᲢᲐᲪᲔᲑᲘᲗ ᲣᲧᲣᲠᲔᲑᲡ ᲤᲘᲚᲛᲡ; ᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲖᲘᲐᲠᲔᲑᲐᲪ ᲛᲬᲐᲓᲘᲐ, ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐ, ᲛᲐᲛᲐ-ᲞᲐ�პᲐᲗᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐ. „ᲗᲘᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲒᲣᲚᲘ ᲧᲔᲚᲨᲘ ᲛᲝᲛᲐᲬᲕᲐᲝ“, - ᲒᲐᲛᲘᲛᲮᲔᲚᲡ ᲛᲔᲠᲔ.

...ᲟᲔᲠᲔᲡ ᲠᲕᲐᲮᲛᲘᲐᲜᲘ ᲒᲣᲜᲓᲘ. ᲔᲡ ᲡᲐᲒᲐᲚᲝᲑᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲗᲐ ᲡᲘᲦᲠᲛᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲡᲣᲚᲐ ᲩᲕᲔᲜᲐᲛᲓᲔ. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲗᲐᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲗᲐᲝᲑᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲔᲛᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲒᲣᲚᲘᲡᲧᲣᲠᲘᲗ ᲣᲡᲛᲔᲜᲓᲜᲔᲜ ᲛᲘᲬᲐᲗᲛᲝᲥᲛᲔᲓᲜᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲑᲐᲦ-ᲕᲔᲜᲐᲮᲔᲑᲡ ᲠᲝᲛ ᲣᲕᲚᲘᲓᲜᲔᲜ; ᲣᲡᲛᲔᲜᲓᲜᲔᲜ ᲛᲔᲝᲛᲐᲠᲜᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲘᲪᲐᲕᲓᲜᲔᲜ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲨᲠᲝᲛᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲖᲔ. ᲐᲛ ᲡᲐᲒᲐᲚᲝᲑᲚᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲗᲐᲥᲛᲔᲓᲘᲚᲘᲐ ᲡᲣᲚᲘ ᲔᲠᲘᲡᲐ.

ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲐᲡ ᲮᲛᲝ ᲒᲐᲥᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲡ ᲣᲬᲝᲓᲔᲑᲔᲜ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲚᲝ�გᲘᲙᲣᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲒᲐᲚᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲡᲐᲮᲕᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲛᲐᲡᲐᲚᲐᲓ, ᲣᲬᲘᲜᲐᲠᲔᲡ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ, ᲮᲣᲠᲝᲗᲝᲛᲝᲫᲦᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲔᲑᲡ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲡ.

ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ ᲯᲯᲕᲐᲠᲘ... ᲘᲒᲘ ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲨᲔᲡᲘᲡᲚᲮᲚᲮᲝᲠᲪᲔᲑᲘᲐ ᲛᲗᲘᲡ ᲛᲐᲡᲘᲕᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲓᲐᲪ ᲓᲒᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲨᲝᲠᲘᲓᲐᲜ ᲫᲚᲔᲚᲘᲐ ᲒᲐᲐᲠᲩᲘᲝ, ᲡᲐᲓ ᲛᲗᲐᲕᲠᲓᲔᲑᲐ ᲥᲛᲜᲘᲚᲔᲑᲐ ᲙᲐᲪᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲓ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡᲐ.

ᲡᲕᲔᲢᲘᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘ... ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲢᲐᲫᲐᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲣᲒᲘᲐᲗ XI ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲨᲘ. ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝᲓ ᲐᲦᲣᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲛᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲛᲙᲐᲪᲠᲘ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘ.

ᲐᲮᲚᲐ ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ ᲕᲮᲔᲓᲐᲕᲗ ᲒᲔᲚᲐᲗᲘᲡ ᲪᲘᲮᲔᲡᲘᲛᲐᲒᲠᲘᲡ ᲜᲐᲜᲒᲠᲔᲕᲔᲑᲘᲪ ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲜᲐᲗᲗᲘᲐ. ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲗᲗᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐ — ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲐ.

ᲙᲔᲓᲚᲘᲡ ᲕᲔᲔᲑᲐ ᲜᲐᲛᲡᲮᲕᲠᲔᲕᲔᲑᲘ, ᲓᲐᲜᲒᲠᲔᲣᲚᲘ ᲢᲐᲫᲐᲠᲘ, ᲔᲣᲚᲘ ᲡᲕᲔᲢᲔᲑᲘ, ᲣᲭᲔᲠᲝᲓ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲐᲜ; ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲡᲘᲦᲠᲛᲔᲨᲘ ᲛᲘᲛᲝᲤᲐᲜᲢᲣᲚᲘ ᲥᲕᲔᲑᲘ, ᲩᲐᲛᲝᲥᲪᲔᲣᲚᲘ �გᲣᲛᲑᲐᲗᲘ, ᲡᲐᲘᲓᲐᲜᲐᲪ ᲛᲝᲩᲐᲜᲡ ᲪᲘᲡ ᲡᲘᲦᲣᲠᲯᲔ.

ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲔᲡ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲙᲐᲪᲗᲐ ᲜᲐᲮᲔᲚᲐᲕᲘᲐ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲬᲘᲚᲐᲓ ᲮᲕᲓᲐ — ᲒᲐᲓᲐᲔᲢᲐᲜᲐ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲡᲔᲕᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲰᲧᲠᲝᲑᲐᲜᲘ. ᲓᲐ ᲔᲡ ᲜᲐᲜᲒᲠᲔᲕᲔᲑᲘ ᲞᲘᲠᲨᲔᲙᲠᲣᲚ ᲭᲠᲘᲚᲝᲑᲔᲑᲐᲓ ᲨᲔᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲡᲮᲔᲣᲚᲡ, ᲛᲘᲡᲘᲜ ᲓᲐᲣᲕᲘᲬᲧᲐᲠᲘ ᲜᲐᲘᲐᲠᲔᲕᲘᲐ.

ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲘ ᲚᲐᲜᲓᲨᲐᲤᲢᲔᲑᲘ. ᲜᲔᲚ-ᲜᲔᲚᲐ ᲛᲘᲪᲣᲠᲐᲕᲔᲜ ᲢᲘᲢᲠᲔᲑᲘ. ᲤᲘᲚᲛᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ.

ᲛᲔ ᲙᲘ ᲐᲠ ᲛᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲡ ᲤᲘᲥᲠᲘ ᲘᲛᲐᲖᲔ, ᲗᲣ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲛᲝᲮᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲝᲡᲗᲐ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ.

1965 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲐᲖᲔ �თᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲡᲘᲛᲞᲝᲖᲘᲣᲛᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲐᲥᲡᲘᲝᲚᲝᲒᲘᲐᲡ ᲐᲦᲣᲓᲒᲘᲜᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲜᲘ. ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ (ᲝᲠᲘᲝᲛᲓᲔ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲙᲚᲔᲑᲘᲗ) ᲒᲐᲓᲐᲭᲠᲘᲗ ᲔᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲔᲑᲝᲓᲐ ᲐᲛ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐᲡ. ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲡᲝᲬᲐᲠᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲐᲛ ᲨᲔᲘᲞᲧᲠᲝ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲘᲡᲛᲔᲜᲓᲜᲔᲜ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐᲡ — ᲐᲡᲔᲗᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲖᲛᲨᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡᲝ. ᲐᲥᲡᲘᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲘᲓᲔᲐ ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲜᲢᲘᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡᲝ. ᲐᲛ ᲙᲐᲖᲣᲡᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲔᲑᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲔᲩᲝᲗᲘᲠᲔᲑᲐᲗ.

ᲛᲔ ᲙᲘ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲛᲐᲮᲡᲝᲕᲡ ᲓᲐ ᲕᲪᲓᲘᲚᲝᲑ ᲛᲘᲕᲬᲕᲓᲘ, ᲗᲣ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲛᲝᲮᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲛᲘᲕᲬᲘᲓᲔᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲬᲘᲠᲔ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲝᲡᲗᲐ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ.

ᲐᲠᲡᲔᲜᲘ ᲒᲣᲚᲘᲒᲐ

ᲒᲘᲜᲐᲮᲐᲕᲗ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲮᲘᲜᲘ? ᲐᲑᲐ, ᲗᲣ ᲒᲐᲮᲡᲝᲕᲗ, ᲔᲡ ᲛᲙᲐᲪᲠᲐᲓ ᲐᲬᲝᲜᲘᲚ -ᲓᲐᲬᲝᲜᲘᲚᲘ ᲠᲘᲢᲣᲐᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲝ ᲡᲐᲓᲦᲔᲒᲠᲫᲔᲚᲝᲗᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲓᲔᲑᲐ? ᲐᲠᲐ, ᲗᲐᲛᲐᲓᲘᲡ ᲡᲐᲓᲦᲔᲒᲠᲫᲔᲚᲝ ᲜᲣ ᲒᲔᲒᲝᲜᲔᲑᲐᲗ! ᲐᲓᲠᲔ ᲛᲔᲪ ᲐᲡᲔ ᲛᲔᲒᲝᲜᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲙᲘᲓᲔᲪ ᲬᲐᲛᲝᲕᲓᲔᲥᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲓᲐᲜ, ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ ᲩᲐᲕᲗᲕᲐᲚᲔ, ᲠᲝᲛ ᲚᲮᲘᲜᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲠᲝᲐ, ᲓᲐᲕᲘᲨᲐᲚᲝᲗ-ᲛᲔᲗᲥᲘ. ᲨᲔᲛᲐᲩᲔᲠᲔᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲮᲘᲡᲜᲔᲡ: ᲐᲮᲚᲐ ᲓᲐᲛᲐᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲓᲦᲔᲒᲠᲫᲔᲚᲝ ᲘᲥᲜᲔᲑᲐᲝ...

„ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲡᲣᲚᲘᲔᲠ ᲤᲐᲡᲔᲣᲚᲝᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓᲐᲪ (ᲔᲘ. ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ 80-ᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲓᲔᲒᲡ. — Ლ.Გ.) ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲡ ᲡᲣᲚᲘᲔᲠ ᲤᲐᲡᲔᲣᲚᲝᲑᲗᲐ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲘᲡ ᲙᲕᲚᲔᲕᲐ — ᲫᲘᲫᲔᲑᲐᲡ.

ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲨᲘ ᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ — „ᲮᲝᲠᲪᲨᲔᲡᲮᲛᲣᲚ ᲡᲣᲚᲘᲔᲠ ᲤᲐᲡᲔᲣᲚᲝᲑᲗᲐ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ“. ᲬᲘ�გᲜᲨᲘ ᲙᲐᲠ�გᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲮᲡᲜᲘᲚᲘ ᲡᲣᲚᲘᲔᲠ ᲤᲐᲡᲔᲣᲚᲝᲑᲗᲐ ᲠᲝᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ: „ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲣᲪᲧᲣᲐᲠᲝᲑᲘᲗ ᲒᲕᲘᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ, ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘᲕᲘᲗ ᲒᲐᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲚᲘ, ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ ᲡᲐᲕᲡᲔᲑᲘᲗ ᲠᲔᲐᲚᲣᲠ ᲫᲐᲚᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲮᲐᲚᲮᲡ, ᲠᲐᲗᲐ ᲒᲐᲣᲫᲚᲝᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲡ ᲒᲐᲠᲔᲣᲚ ᲗᲣ ᲨᲘᲜᲐᲣᲠ ᲛᲢᲠᲔᲑᲗᲐᲜ, ᲨᲔᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲝᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲧᲝᲤᲐᲓᲝᲑᲐ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲛᲖᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ“.

ᲜᲣᲗᲣ ᲮᲝᲠᲪᲨᲔᲡᲮᲛᲣᲚᲘ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲤᲐᲡᲔᲣᲚᲝᲑᲐᲜᲘ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲡ ᲩᲐᲰᲑᲐᲠᲓᲐ, ᲨᲝᲠᲔᲣᲚᲡᲐ ᲗᲣ ᲐᲮᲚᲝ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲡ? ᲐᲜᲓᲐ ᲫᲚᲘᲕᲘᲗ ᲡᲣᲜᲗᲥᲐᲕᲗ ᲛᲐᲩᲐᲜᲩᲐᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲡᲮᲐᲛᲥᲕᲔᲨ?

ᲣᲜᲔᲑᲣᲠᲐᲓ ᲘᲑᲐᲓᲔᲑᲐ ᲛᲢᲙᲘᲕᲜᲔᲣᲚᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ — ᲖᲝ�გ-ᲖᲝ�გ ᲐᲠᲐᲛᲙᲘᲗᲮᲔ ᲛᲝᲛᲐᲛᲑᲔᲡ Ე�გᲔᲑ ᲰᲒᲝᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲔᲕᲔ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲤᲐᲡᲔᲣᲚᲝᲑᲜᲘᲡᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲫᲠᲝᲮᲐᲡ — ᲣᲜᲐ�გᲘᲠᲘ?

ᲐᲠᲐᲛᲪ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲛᲪ! ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲘᲛᲔᲓᲘ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ ᲮᲕᲐᲚᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ, ᲡᲐᲓᲐᲪ, ᲔᲠᲗᲘ ᲛᲝᲫᲕᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲘᲡᲐ ᲐᲠ ᲘᲧᲝᲡ, ᲤᲘ�გᲣᲠᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲠᲝᲛ ᲕᲗᲥᲕᲐᲗ, ᲛᲨᲘᲔᲠᲡ ᲔᲥᲜᲔᲑᲐ ᲮᲛᲘᲐᲓᲘ ᲓᲐ ᲢᲘᲢᲕᲔᲚᲡ ᲢᲐᲜᲖᲔ ᲞᲔᲠᲐᲜᲒᲘ. ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ, ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝᲓ ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲡ ᲡᲘᲪᲠᲣᲔᲡ, ᲮᲝᲚᲝ ᲡᲣᲚᲘ — ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲐᲠ ᲪᲓᲣᲜᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲘᲐᲕᲔᲡ.

ᲓᲘᲐᲮ, ᲓᲘᲐᲮ... ᲮᲕᲐᲚᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲘᲠᲝᲜᲘᲘᲡ ᲜᲘᲦᲐᲑᲡ ᲩᲐᲛᲝᲰᲒᲚᲔᲯᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲣᲖᲝᲛᲝ ᲒᲣᲚᲘᲡᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘᲗ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲛᲣᲚ ᲒᲣᲚᲡᲐᲙᲚᲐᲕ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲡ — ᲩᲕᲔᲜᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲒᲐᲜᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲓᲛᲔ ᲔᲠᲘᲝ

თურქეთი საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩარევას შეეცდება

„ცხადია, თურქეთის მხრიდან არჩევნებში ჩარევის მცდელობები იქნება“, — აღნიშნა საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა ტელეარხ France 5-თან ინტერვიუში. ამასთანავე, საფრანგეთის ლიდერმა განაცხადა, რომ თურქეთთან დიალოგის წარმართვაა საჭირო.

2020 წლის 4 დეკემბერს თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა იმედი გამოთქვა, რომ საფრანგეთი რაც შეიძლება მალე მოიშორებს პრეზიდენტ ემანუელ მაკრონს.

„მაკრონი საფრანგეთის პრობლემაა. მაკრონთან ერთად საფრანგეთი ძალიან საშიშ პერიოდს განიცდის. იმედი მაქვს, საფრანგეთი რაც შეიძლება მალე მოიშორებს მაკრონის პრობლემას“, — განაცხადა თურქეთის პრეზიდენტმა. თურქეთსა და საფრანგეთს შორის ურთიერთობები სირიის, ლიბიის, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთისა და მთიანი ყარაბაღის საკითხებზე უთანხმოების გამო გაუარესდა. 2020 წლის ოქტომბერში რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ეჭვქვეშ დააყენა ემანუელ მაკრონის ფსიქიკური ჯანმრთელობა და ის ისლამის წინააღმდეგ სიძულვილის კამპანიის გატარებაში დაადანაშაულა.

* * *

„მივიჩნევთ, რომ დაუშვებელია ეს განცხადება, რომელიც მეგობრობისა და მოკავშირეობის სულისკვეთებას ეწინააღმდეგება. თურქეთს საფრანგეთის საშინაო პოლიტიკასთან დაკავშირებით სხვა საზრუნავი არ აქვს, გარდა საფრანგეთში მცხოვრები თითქმის 800 000 თურქის კეთილდღეობა და ბედნიერება. იმ კონტექსტში, როდესაც ვცდილობთ დავასრულოთ დაძაბულობა მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობის აღსადგენად, მიგვაჩნია, რომ მაკრონის განცხადება სამწუხარო და შეუსაბამოა“, — ნათქვამია თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

რუსეთი ჭკუაზე უნდა მოვიდეს...

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა განაცხადა, რომ დასავლეთმა ორმხრივი ინტერესების საკითხებზე რუსეთთან უნდა ითანამშრომლოს, თუმცა ამავდროულად პასუხი აგებინოს მას უგუნური ქმედებებისთვის.

ნატოს შტაბბინაში სიტყვით გამოსვლისას სახელმწიფო მდივანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ალიანსს რუსეთის მიმართ მტკიცე და ერთიანი პოზიცია უნდა ჰქონდეს.

„ვფიქრობ, რისი იმედიც შეიძლება გვქონდეს არის ის, რომ რუსეთთან გვექნება ურთიერთობა, რომელიც სულ მცირე პროგნოზირებადი და სტაბილური იქნება. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთთან ვთანამშრომლობთ ჩვენი და ალიანსის ინტერესების წინ წასაწევად, ჩვენ ასევე ვიმუშავებთ იმისთვის, რომ რუსეთმა პასუხი აგოს თავისი უგუნური და მტრული ქმედებებისთვის“, — აღნიშნა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა.

... იგი სახიფათო მეზობელია

საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ჟოზეფ ბორელმა განაცხადა, რომ რუსეთი ევროკავშირისთვის სახიფათო მეზობელია.

„ჩვენ ვხედავთ რუსეთს, რომელიც ევროპულ ღირებულებებს შორდება და სულ უფრო და უფრო ავტორიტარული ქვეყანა ხდება. ჩვენ უნდა ვიმსჯელოთ რუსეთთან კავშირის არხებზე. რუსეთი მეზობელია, სახიფათო მეზობელია, მაგრამ ჩვენ უნდა გავიზიაროთ ზოგი საკითხი, რომელზეც საერთო ინტერესები გვაქვს, როგორიცაა ირანთან შეთანხმება და კლიმატური ცვლილებები. თუმცა ამავდროულად უნდა შევაკავოთ და წინააღმდეგობა გავუწიოთ რუსეთს“, — აღნიშნა ჟოზეფ ბორელმა.

პრეზიდენტი სიკვდილამდე!..

რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ მესამე მოსმენით დაუჭირა ცვლილებებს კანონში, რომელიც ადამიანს პრეზიდენტის თანამდებობის ორზე მეტჯერ დაკავებას უკრძალავდა.



რუსული მედიის ცნობით, მოქმედ და ყოფილ პრეზიდენტებს გაუნულდებათ კრემლში ყოფნის ვადები, შესაბამისად, ვლადიმერ პუტინსა და დიმიტრი მედვედევს პრეზიდენტად არჩევა კიდევ 2-2-ჯერ შეეძლებათ. გარდა ამისა, რუსეთის პრეზიდენტი ვერ გახდება ადამიანი, რომელსაც წარსულში ორმაგი მოქალაქეობა ან საზღვარგარეთ ბინადრობის უფლება ჰქონდა.

ა.ა.ი.პ. დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაციის მიერ 2020 წ. განხორციელებული საქმიანობის პროგრამული ანგარიში

ა.ა.ი.პ. დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაცია (არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი, საქველმოქმედო ორგანიზაციის დამადასტურებელი მოწმობა #4, 15.04.2005).

დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაციის საქმიანობა 2020 წ. მოიცავდა 2 მიმართულებას: 1. დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა და მოზარდთა მკურნალობის და რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულებას (ვაუჩერული დაფინანსება ს.ს.ი.პ. სოციალური მომსახურების სააგენტოდან); 2. ასოციაციის წევრებისა და დიაბეტით დაავადებული მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევა და სამეურნეო საორგანიზაციო ხარჯი (დაფინანსება კერძო შემოწირულობებიდან, დეპოზიტის პროცენტებიდან, დამხმარე სამეურნეო საქმიანობიდან და ასოციაციის წევრთა საწევროებიდან).

დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა და მოზარდთა მკურნალობისა და რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის (ბავშვთა და მოზარდთა დიაბეტის მართვის სახელმწიფო ვაუჩერული პროგრამის ფარგლებში) შესრულება.

დიაბეტიან ბავშვთა და მოზარდთა სახელმწიფო პროგრამა განკუთვნილია საქართველოში მცხოვრებ 0-18 წლამდე ასაკის ბავშვებისა და მოზარდებისათვის. 2020 წ. პროგრამა მოიცავდა შემდეგი ღონისძიებების ჩატარებას:

1. ბენეფიციარებისათვის საანალიზო-ტექნიკური საშუალებების შეძენა, შენახვა და გაცემა გლუკოზის თვითკონტროლისათვის;
2. პაციენტების ლაბორატორიული გამოკვლევები (HbA1c გლიკოჰემოგლობინის განსაზღვრა);
3. თვალის გართულებათა მონიტორინგი;
4. დიაბეტური განათლების მიღება;
5. დიაბეტიან ბავშთა და მოზარდთა რეაბილიტაციის პროგრამა.

2020 წლის ბავშვთა და მოზარდთა პროგრამა განკუთვნილი იყო საქართველოში მცხოვრებ 0-18 წლამდე ასაკის ბავშვებისა და მოზარდებისათვის და 18 წელს გადაცილებული იმ დიაბეტიანი პაციენტებისათვის, რომლებსაც აღენიშნებათ მხედველობის დაქვეითება (ან არიან უსინათლოები), აქვთ თანდაყოლილი ცერებრალური დამბლა ან/და უშაქრო დიაბეტი, დაუნის სინდრომი ან დუშენ-ერბის დაავადება. პროგრამის ძალაში შესვლის მომენტისათვის (01.01.2020) ასოციაციაში რეგისტრირებული ზემოთაღნიშნული ასაკის ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობა იყო 1034. 2020 წ. გამოვლინდა 18 წლამდე ასაკის 192 ახალი პაციენტი, რაც წინა წლების გაზრდილ სტატისტიკასთან თანხვედრაშია.

პროგრამის დაფინანსება ხორციელდებოდა ს.ს.ი.პ. სოციალური მომსახურების სააგენტოს, როგორც ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების კოორდინატორის მიერ. ამ პროგრამის ფარგლებში ასოციაცია ვაუჩერული დაფინანსებით გათვალისწინებულ მომსახურებაზე დამატებით, როგორც ჰუმანიტარული ორგანიზაცია, საქველმოქმედოთ აწარმოებდა სახელმწიფოს მიერ გადმოცემული მედიკამენტების (ინსულინები, ინსულინების ანალოგები, შპრიც-კალმისტრები, კალმისტრის ნემსები) შენახვას სათანადო ტემპერატურულ რეჟიმში, აღრიცხვას და დარიგებას, რაც საკმაოდ დიდ ადამიანურ და მატერიალურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული.

მედიკამენტების გაცემა ხდებოდა ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული წესით: ახლადგამოვლენილი პაციენტების აღრიცხვაზე აყვანა და მათზე მედიკამენტების გაცემა ხორციელდებოდა ასოციაციის ცენტრალური ოფისიდან უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებისა და ექიმ პედიატრ ენდოკრინოლოგის მიერ გამოწერილი ფორმა 100-ის საფუძველზე. სახელმწიფოს მიერ გადმოცემული მედიკამენტების(ინსულინების) პაციენტებზე გაცემა ჯანდაცვის სამინისტროს მიერ კონტროლდებოდა ონლაინ რეჟიმში სპეციალური პროგრამის საშუალებით.

პროგრამის მიონაწილე ყველა პაციენტი უზრუნველყოფილია გლუკომეტრითა და პროგრამით განსაზღვრული რაოდენობის საანალიზო ჩხირებით (სისხლის და შარდის), რაც მათ აძლევთ საშუალებას დამოუკიდებლად აკონტროლონ სისხლში გლუკოზის დონე. ამას გარდა, მათ კვარტალში ერთხელ სავალდებულო წესით პროგრამის ფარგლებში უტარდებათ გლიკოჰემოგლობინის (HbA1c) ანალიზი, რაც უაღრესად დიდ ინფორმაციას იძლევა პაციენტებში ავადმყოფობის მიმდინარეობის შესახებ. გლიკოზირებული ჰემოგლობინის ანალიზი კეთდება ასოციაციის ლაბორატორიაში, რომელიც განთავსებულია ცენტრალურ ოფისში. 2020 წლის განმავლობაში სულ გაკეთდა 1854 ანალიზი.

ასოციაციის ცენტრალურ ოფისში პაციენტებს ექვს თვეში ერთხელ სავალდებულო წესით უტარდებათ თვალის შემდეგი გამოკვლევები: ოფთალმოსკოპია, რეფრაქტომეტრია, ბიომიკროსკოპია და ფუნდუსკოპია. 2020 წლის განმავლობაში თვალის სკრინინგი ჩაუტარდა 742 პაციენტს (906 ვიზიტი).

ასოციაციას აქვს დიაბეტის საგანმანათლებლო სკოლები პაციენტებისა და მათი მშობლებისათვის, სადაც მუდმივად ტარდება მეცადინეობები, როგორც ახლადგამოვლენილი პაციენტებისათვის, აგრეთვე მათთვისაც, ვისაც ექიმთა დაკვირვებით ხელახლა სჭირდება სკოლის გავლა. დიაბეტური განათლების მიღება საგრძნობ გავლენას ახდენს პაციენტების ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზე, ვინაიდან იზრდება თვითკონტროლის ხარისხი.

დიაბეტური განათლების სრულყოფისათვის ახლადგამოვლენილ პაციენტებს უფასოდ გადაეცემათ ასოციაციის მიერ შედგენილი და გამოცემული სახელმძღვანელო „დიაბეტის მართვა“, რომელიც მშობლებისა და ბავშვებისათვის სამაგიდე წიგნია.

2020 წ. განმავლობაში, რეაბილიტაციის პროგრამით ასოციაციის სარეაბილიტაციო სპორტულ ცენტრში ტარდებოდა ვარჯიშები 2 ჯგუფში.

თითოეული პაციენტისათვის შემუშავდა განსაზღვრული ინტენსივობის ფიზიკური დატვირთვების ინდივიდუალური გრაფიკი. ვარჯიშის ძირითად ნაწილში ფიზიკური დატვირთვები მიმდინარეობდა ორგანიზმისათვის სასიცოცხლო ფუნქციების (პულსი, სუნთქვა) მონიტორინგით შემდეგ ტრენაჟორებზე:

- ციკლური (სარბენი ბილიკი, ველო, ველოთხილამური, სტეპერი)
- ძალისმიერი (მუცლის პრესის, ხერხემლის სამასაჟო სკამი, კომბინირებული)
- სამაგიდო სპორტული თამაშები (მაგიდის ჩოგბურთი, მაგიდის ფეხბურთი)
- ვიბრომასაჟორები

უშუალოდ ვარჯიშამდე და მის მერე ხდებოდა თითოეული პაციენტისათვის სისხლში გლუკოზის დონის სავალდებულო განსაზღვრა.

ასოციაცია ანგარიშებს ყოველთვიური პროგრამული დანახარჯების შესახებ წარადგენს ს.ს.ი.პ. სოციალური მომსახურების სააგენტოში მათ მიერ დადგენილი ფორმით.

2. ჩვენი ასოციაციის ჰუმანიტარული პროფილიდან გამომდინარე, ჩვენ ვცდილობთ შეძლებისდაგვარად გავუწიოთ ჰუმანიტარული დახმარება დიაბეტით დაავადებულ საქართველოს მოსახლეობას, რისთვისაც ასოციაციას გააჩნია ჰუმანიტარული ინსულინებისა და თანმხლები საანალიზო ტექნიკური საშუალებების გარკვეული მარაგი. ჰუმანიტარული დახმარების გაცემა ასოციაციაში რეგისტრირებულია სათანადო წესით. ასოციაციას აქვს მცირე შემოსავალი დეპოზიტზე განთავსებული თანხებიდან. კერძო შემოწირულობების, დამხმარე სამეურნეო საქმიანობის და დეპოზიტის პროცენტების თანხა ხმარდება ასოციაციის მმართველობით ხარჯებსა და ასოციაციის მძიმე სოციალური მდგომარეობის წევრების მატერიალურ დახმარებებს.

სრული საფინანსო ინფორმაციისათვის იხილეთ ბალანსი და საქმიანობის შედეგების ანგარიშგების ფორმები, რომლებიც წინამდებარე ანგარიშს თან ახლავს.

დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაცია საქმიანობის შედეგების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის

I.შეუზღუდავი ფონდების ნაწილში

№№	შემოსავლები	
1	შეზღუდვისაგან განთავისუფლებული ფონდი(ძირ.)	
2	დროებითი შეზღუდული ფონდი	11000.00
3	შესრულებული სამუშაო	908793.79
4	საპროცენტო შემოსავლები	50889.66
5	კურსთა სხვაობა	291600.8

6	შემოწირულობა	87.0
7	სხვა შემოსავლები	31448.7
	სულ შემოსავლები	**1293819.95**
	ხარჯები	
1	I პროექტის ხარჯი	
2	II პროექტის ხარჯი	
3	III პროექტის ხარჯი	528690.59
4	პროექტების მხარდაჭერის ხარჯი	
5	ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი (კ/სხვ.)	
	სულ ხარჯები	**528690.59**
	მთლიანი შედეგი (შემოსავლების ნამეტი/ დეფიციტი)	765129.36
	განსაკუთრებული მუხლები	
	წმინდა შედეგი (ფონდის ზრდა/შემცირება)	**765129.36**
	II.დროებითი შეზღუდული ფონდების ნაწილში	
	შემოსავლები	
1	კურსთა სხვაობა, სხვა ფონდების გადანაწილება	
2	შეზღუდვისაგან განთავისუფლებული ფონდი	127000.00
3	საწევრო შენატანები	
4	შემოწირულობები	
5	საპროცენტო შემოსავლები	
	სულ შემოსავალი	**127000.00**
	ხარჯები	
1	I პროექტის ხარჯი	11000
2	II პროექტის ხარჯი	233037.05
3	III პროექტის ხარჯი	
	სულ ხარჯები	**244037.05**
	წმინდა შედეგი (ფონდის ზრდა/შემცირება)	***-117037.05***
	III. მუდმივი შეზღუდული ფონდების ნაწილში	
	შემოსავლები	
1	სხვა შემოსავალი	
2	შემოსავალი არაფულადი სახით	259125.95
	სულ შემოსავალი	**259125.95**
	ხარჯები	
1	პროექტის ხარჯი	370574.65
	სულ ხარჯები	**370574.65**
	წმინდა შედეგი (ფონდის ზრდა/შემცირება)	***-111448.70***

დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაცია **ბალანსი** 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

წლიური

		2019	2020	
	აქტივები			
	გრძელვადიანი აქტივები			
	ძირითადი საშუალებები	2003825.94	2037833.54	
	ინვესტიციები		153921.90	
	სხვა გრძელვადიანი აქტივები			
	მიმდინარე აქტივები			
	მატერიალური მარაგი	293247.40	32634.79	
	დებიტორები	122200.65	5350.00	
	ავანსები	522.61	281.83	
	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი	1775499.40	2508744.22	
	სულ აქტივები	4195296.00	4738766.27	
	ფონდები და ვალდებულებები			
	ფონდები			
	შეუზღუდავი ფონდი	3289157.33	4054287.63	
	დროებით შეზღუდული ფონდი	792106.77	675069.80	
	მუდმივად შეზღუდული ფონდი	111449.71		
	გრძელვადიანი ვალდებულებები			
	გრძელვადიანი სესხები			
	საპენსიო ანარიცხები			
	მოკლევადიანი ვალდებულებები			
7	კრედიტორები	2582.19	9408.84	
	მოკლევადიანი სესხები			
	გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი			
	სულ ფონდები და ვალდებულებები	4195296.00	4738766.27	

ბილწსიტყვაობა არავის ეპატიება

პოლონეთში ცნობილ მწერალსა და ჟურნალისტ იაკუბ ჟულჩიკს ქვეყნის პრეზიდენტ ანჯეი დუდას სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის სამი წლით პატიმრობა ემუქრება.

მწერალმა პრეზიდენტი „ტვიტერში“ გამოქვეყნებული განცხადების გამო „დებილად“ მოიხსენია. საუბარია ანჯეი დუდას მიერ აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გამოქვეყნებულ მისალოც ტექსტზე, სადაც დუდა წერს: **„ვულოცავ ჯო ბაიდენს წარმატებული საპრეზიდენტო კამპანიას. ვიდრე საარჩევნო კოლეგიის მიერ ნომინაციას ველოდებით, პოლონეთი მიმართულია უმაღლეს დონესა და უმაღლესი ხარისხით პოლონეთ-აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორობის შენარჩუნებაზე, კიდევ უფრო მტკიცე ალიანსისთვის“.**

პოლონეთის პრეზიდენტის ამ მილოცვას იაკუბ ჟულჩიკი „ფეისბუქში“ გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ანჯეი დუდამ აშშ-ის საარჩევნო სისტემის გაგება ვერ შეძლო. მწერლის თქმით, ის სწავლობდა აშშ-ის პოლიტიკას და არასდროს სმენია „საარჩევნო კოლეგიის ნომინაციაზე“.

„ჯო ბაიდენი აშშ-ის 46-ე პრეზიდენტია, ანჯეი დუდა დებილი“, — დაწერა ჟულჩიკმა „ფეისბუქში“. აღნიშნული პოსტი პროკურატურამ შეურაცხმყოფლად და დაუშვებლად მიიჩნია, მის წინააღმდეგ საქმე აღიძრა. აღსანიშნავია, რომ პოლონეთში სახელმწიფო ლიდერებისა და რელიგიის შეურაცხყოფა დასჯადია.

მერკელმა საღდგომოდ დაანონსებული მკაცრი შეზღუდვები გააუქმა

გერმანიის ფედერალური მთავრობა და ფედერალური მიწების ხელმძღვანელები შეთანხმდნენ, რომ შეცვლიან ადრე მიღებულ გადაწყვეტილებას საღდგომო არდადეგების დროს მკაცრი შეზღუდვების დაწესების შესახებ.

ანგელა მერკელის განცხადებით, გამკაცრებული ზომების ასეთ მოკლე დროში განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა და შესაძლოა, მას უფრო მეტი ზიანი მოეტანა, ვიდრე — სარგებელი. **„ეს მხოლოდ ჩემი შეცდომაა, რადგან საბოლოოდ მე ვარ პასუხისმგებელი ყველაფერზე“,** — აღნიშნა მერკელმა და თანამოქალაქეებს ბოდიში მოუხადა.

შეგახსენებთ, გუშინ ანგელა მერკელი და ფედერალური მიწების ხელმძღვანელები შეთანხმდნენ, რომ აღდგომის დღესასწაულისთვის მოქალაქეებს 5 დღით სახლში დარჩენისკენ მოუწოდებდნენ, რისთვისაც 1 და 3 აპრილი დასვენების დღეებად გამოცხადდებოდა. ამასთან, დასვენების დღეებში, ყველა მაღაზია და ბიზნესობიექტი დაიხურებოდა. ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას საზოგადოების მხრიდან პროტესტი მოჰყვა. გარდა ამისა, მას არც კანონმდებლები მიემხრნენ.

მიანმარში სამთავრობო ძალებმა ბავშვი მოკლეს

სამხედროები საპროტესტო აქციების მონაწილეთა სახლებში რეიდს ატარებდნენ. გოგონას მშობლებმა კი მათ კარი არ გაუღეს, ძალოვნებმა ცეცხლი გახსნეს, ნასროლი ტყვია 7 წლის გოგონას მოხვდა. სროლას კიდევ 2 კაცი ემსხვერპლა.

მიანმარში მომხდარი სამხედრო გადატრიალების შემდეგ საპროტესტო აქციები დაიწყო. სამთავრობო ძალები დემონსტრაციებს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით არბევენ.

სიკვდილით დასჯა გაუქმდა!

ვირჯინიის შტატში სიკვდილით დასჯა გააუქმეს. კანონპროექტს ხელი შტატის გუბერნატორმა რალფ ნორტემმა უკვე მოაწერა. მისი თქმით, სიკვდილით დასჯის სისტემა ფუნდამენტურად არასწორი და არაეფექტიანია.

ახალი კანონმდებლობით, სასიკვდილო განაჩენი შტატში სამუდამო პატიმრობით შეიცვლება. ვირჯინია ამერიკის 23-ე შტატია, სადაც სიკვდილით დასჯის გაუქმების გადაწყვეტილება მიიღეს. შტატი სასიკვდილო განაჩენების აღსრულების მაჩვენებლით ლიდერობდა. 2017 წლამდე, როდესაც შტატში სასჯელის აღსრულება შეჩერდა, იქ სიკვდილით 1400-მდე ადამიანი დასაჯეს.



ბრძოლითა ჩვენითა...

საგაზაფხულო კვირაცხოვლობა

ვინ თქვა, კვირა უქმეაო?

მართლაც, თუ 28 მარტს თბილისში დანიშნულ სპორტულ ღონისძიებებს გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ მოსაწყენად არავის სცალია,მათ შორის – თეა წულუკიანის მოადგილედ სპორტის დარგში შერჩეულ იურისტ **სოსო გიორგაძეს**, თუმცა, სჯობს დამდეგ მოვლენებს თანმიმდევრობით შევავლოო თვალი.

უმნიშვნელოვანესი სანახაობებით დახუნძლული დღე სტარტს დილის 10 საათზე ახალ ოლიმპიურ სასახლეში აიღებს, სადაც ჩვენს დედაქალაქში პირველად გასამართავ ძიუდოისტთა გრანდ სლემის სალიცენზიო ბრძოლებში უკანასკნელი წონითი კატეგორიების წარმომადგენლები ჩაებმებიან.



მოგეხსენებათ, ტატამის დიდოსტატთა დადგმული სპექტაკლებით განებივრებულნი ვართ – კიმონოიან საკულტო სტუმართაგან მხოლოდ დაუმარცხებელი ლეგენდის იასუხირო იამასიტას დასახელებაც კმარა, მაგრამ პრესტიჟულობა არც მომავალ 3-დღიან ბატალიებს აკლია. საკმარისია ითქვას, რომ, გარდა გრან პრიდან გრანდ სლემამდე ამაღლებისა, კოვიდ-პანდემიის მიუხედავად, 81(!) ქვეყნის 500-მდე ფალავანი გვეწვევა. დავძენთ, რომ დასკვნითი აკორდის ფინალური ბლოკის შეხვედრები 17 საათზე დაიწყება.

ვიმედოვნებთ, ტაშკენტის ამასწინანდელი გრანდ სლემისგან განსხვავებით, საიდანაც უმედლოდ დავბრუნდით, საკუთარ კედლებში სათანადოდ წარმოვაჩენთ საკუთარ შესაძლებლობებს.

სამწუხაროა, რომ რამდენიმე ნაკრებში მომრავლებული კორონავირუსის შემთხვევების გამო ორგანიზატორებმა გულშემატკივრებს დასწრებაზე ბოლო მომენტში უარი უთხრეს.

იგივე შეიძლება ითქვას 15 საათზე „მიხეილ მესხზე“ დანიშნულ რაგბი ევროპის მეოთხე ტურის პრინციპულ ჯახზე: საქართველო – რუმინეთი, რომელშიც ზედიზედ მეოთხე გამარჯვებით 2023 წლის მსოფლიო თასის (საფრანგეთი) საგზური ოფიციალურად უნდა გავიფორმოთ და სამშობლოში დავიტოვოთ აღნიშნულ მეტოქესთან ტრადიციულად გასათამაშებელი ანთიმოზ ივერიელის თასი.

აღსანიშნავია, რომ სრკის პრეზიდენტად ახლახან არჩეული და, რაც მთავარია, საჯარო რეესტრის მიერ დარეგისტრირებული **იოსებ ტყემალაძე** კალინინგრადიდან ამაყად დაბრუნებულ „ბორჯღალოსნებს“ უკვე შეხვდა, რაც ქართულ სარაგბო თემში გაჩენილი ხანძრის ჩაქრობისკენ დაწყებულ პროცესად შეიძლება შეფასდეს. საგულისხმოა, რომ მასთან თანამშრომლობის სურვილი მოსალოც წერილში მსოფლიო რაგბისა და რაგბი ევროპის მესვეურებმაც გამოთქვეს, კიდევ უფრო მეტი სატურნირო მოტივაცია კი კარპატისპირელ „მუხის ფოთლებს“ გააჩნიათ, რომლებმაც ერთი მატჩი უშუალო კონკურენტ რუსეთთან პირველივე ტურში წააგეს და ვაკეში მარცხი მათთვის, დიდი ალბათობით, ფრანგულ ფორუმს მიღმა დარჩენის ტოლფასი იქნება (იქ რაგბი ევროპის ორი საუკეთესო გუნდი ითამაშებს, მესამეს კი მიზნის მისაღწევად რეპეშაჟის პრობლემატური წინაღობის გადალახვა მოუწევს ოკეანეთის კერკეტ კაკალთაგან რომელიმესთან, რაც ურთულესი ამოცანაა).

და ბოლოს, საინფარქტო უიქ-ენდის კულმინაცია: 2022 წლის ყატარის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მეორე ტურის შეხვედრა ჩვენი ჯგუფის აღიარებულ ფავორიტ ესპანეთთან, რომელსაც 20 საათზე ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენა“ უმასპინძლებს.

ჩვენი ქვეყნის უმთავრეს სარბიელს კარგად ახსოვს მრისხანე მეტოქესთან უთანასწორო ბრძოლაში „ჯვაროსანთა“ მიერ აღმართული თითქმის გაუვალი თავდაცვითი ზღუდე, რომელიც, ბოლოსდაბოლოს, სოლდადომ გაარღვია, რომელმაც ტრავმირებული ლორიას ნაცვლად მინდორზე შესული კვასხვაძის კარი დალაშქრა, თუმცა, არც ის ეპიზოდი გვავიწყდება, როცა ამისულაშვილის შორეული გასროლის შემდეგ პირინეელები ძელმა იხსნა.

დასახელებული მაგალითი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ შანსი ყველასთან შეიძლება მოგვეცეს, რასაც, ვიმედოვნებთ, გაითვალისწინებენ ვილი სანიოლის შეგირდები.

აღარაფერს ვამბობთ იმ ძლევაი საკვირველზე, თორნიკე ოქრიაშვილის ისტორიული გოლით რომ გამოვჭედეთ „ფურია როხასთან“, თუნდაც ამხანაგურ შეხვედრაში.

სხვათა შორის, ჩვენი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ზეგ პარტნიორებს ტრავმის გამო ვერ დაეხმარება ისევე, როგორც ჩაკვეტაძე, წიტაიშვილი, კვირკველია, დაუშვილი და ხოჭოლავა, რომელსაც კოვიდ–19 დაუდასტურდა.

ყველაფერი მთლად რიგზე თაობათა ცვლის მტკივნეული პროცესის ფონზე მოასპარეზე მსოფლიოსა და ევროპის სამგზის ჩემპიონთა ბანაკშიც რომ არაა, ლუის ენრიკეს მიერ შერჩეული შემადგენლობაც მოწმობს, სადაც ძველი გვარდიიდან სულ რამდენიმე ვარსკვლავიღა შემორჩა:

მეკარეები: დე ხეა („მაჩესტერი“), სიმონი („ბილბაო“), სანჩესი („ბრაიტონი“).

მცველები: პორო („სპორტინგი“, ლისაბონი), გარსია („სიტი“), რამოსი („რეალი“), მარტინესი („ბილბაო“), ლორენტე („ლიდსი“), გაია („ვალენსია“), ალბა („ბარსელონა“);

ნახევარმცველები: ბუსკეტსი („ბარსელონა“), როდრი („სიტი“), ლორენტე („ატლეტიკო“), პედრი („ბარსელონა“), ალკანტარა („ლივერპული“), კანალესი („ბეტისი“), კოკე („ატლეტიკო“), რუისი („ნაპოლი“);

თავდამსხმელები: მორენო („ვილიარეალი“), მორატა („იუვენტუსი“), ოლმო („ლაიფციგი“), ოიარსაბალი („ბილბაო“), ტორესი („სიტი“), ხილი („ეიბარი“).

დაბოლოს: ფეხბურთის თამაში რომ თითქმის ყველამ ისწავლა, საკვალიფიკაციო ეტაპის სასტარტო შეხვედრების ზოგიერთი შედეგიდანაც ჩანს: **თურქეთი – ჰოლანდია 4:2 (იოჰან კრუიფის გარდაცვალებიდან 5 წლისთავზე ჰეთ-თრიქი მასპინძელთა 35 წლის კაპიტანმა ბურაქ ილმაზმა შეასრულა. იგი 1980 წლის შემდეგ პირველია, ვინც „ნარინჯისფერებს“ 3 ბურთი გაუტანა. მაშინ ალოფსმა იყოჩაღა), საფრანგეთი – უკრაინა 1:1 (სექტემბერში მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონებმა იგივე მეტოქე 7:1(!) დაიბრიყვეს), პორტუგალია – აზერბაიჯანი 1:0 (სტუმრებმა მედვედევის ავტოგოლით წააგეს), სლოვენია – ხორვატეთი 1:0, ბელგია – უელსი 3:1, კვიპროსი – სლოვაკეთი 0:0, ფინეთი – ბოსნია 2:2, ესტონეთი – ჩეხეთი 2:6, გიბრალტარი – ნორვეგია 0:3, ლატვია – მონტენეგრო 1:2, სერბეთი – ირლანდია 3:2, მალტა – რუსეთი 1:3.**

გია პლატონიშვილი

ლეგიონერი

გიორგან ჩვენმან...

სეზონში კიდევ ერთი შთამბეჭდავი შეხვედრა ჩაატარა ესპანეთის ლიგა უნდესას ერთ-ერთი ლიდერის „ტენერიფეს“ ქართველმა ცენტრმა **გიორგი შერმადინმა, რომელმაც ამჯერად ფიბას ჩემპიონთა ლიგის მეორე წრის სტარტზე გაიბრწყინა.**

ბოსნიურ „იგოკეასთან“ საკუთარ დარბაზში 80:75 მოგებულ შეხვედრაში „ჯვაროსანი“ პარტნიორებს ღირსეული 21-ქულიანი პირადი მონაგრით შეეწია, რასაც 3 მოხსნა და 2 დაფარება წაუმატა.

კუნძულელებს 4-დან 3 მოგება აქვთ და მორიგ მატჩს ლატვიაში რიგის ვეფთან გამართავენ.

ხუთი რგოლი

ოლიმპიადის დღეებში უცხოელთათვის იაპონია ჩაიკეტება

ვინაიდან კოვიდ-19-თან დაკავშირებით ამომავალი მზის ქვეყანაში დღესაც მეტად რთული ვითარებაა და გაჩნდა რამდენიმე ახალი შტამი, საერთაშორისო დონეზე მოგზაურობა კი მკაცრადაა შეზღუდული, მივიღეთ ოფიციალური გადაწყვეტილება, კორონავირუსის პანდემიის გამო ზაფხულის თამაშებზე დასასწრებად არ დავუშვათ უცხოელი გულშემატკივრები, ხოლო მათ, ვისაც ბილეთები უკვე შეძენილი აქვთ, თანხა უკან დაუბრუნდებათ – ვკითხულობთ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და ტოკიოს ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის, აგრეთვე მეგაპოლისისა და იაპონიის მთავრობების მიერ გამართული ონლაინშეკრების შემდეგ გამოქვეყნებულ სოკ-ის პრეს-რელიზში.

ასეთი ვერდიქტის შედეგად განსაკუთრებით სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესები დაზარალდება, მთლიანად კი იაპონია დაახლოებით მილიარდ ნახევარ დოლარს დაკარგავს.

ᲡᲐᲜᲗᲚᲔᲑᲘ ᲔᲜᲗᲝ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲗᲐᲜ, ᲡᲐᲜᲗᲚᲔᲑᲘ ᲔᲜᲗᲝ...

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲢᲐᲑᲘᲫᲔ – ᲖᲝ�გᲐᲓᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ



ᲯᲔᲠ ᲕᲐᲙᲔᲨᲘ, ᲛᲖᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲕᲘᲞᲐᲠᲝᲡᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲒᲐᲧᲣᲠᲡᲣᲚᲘ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲘ, ᲣᲤᲠᲝ ᲖᲣᲡᲢᲐᲓ, ᲢᲐᲑᲘᲫᲔᲗᲐ ᲡᲐᲒᲕᲐᲠᲔᲣᲚᲝ ᲒᲐᲜᲡᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲝᲕᲘᲜᲐᲮᲣᲚᲔᲗ.

ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲗᲐᲘᲒᲣᲚᲔᲑᲘᲗ, ᲘᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲧᲝᲩᲘᲕᲐᲠᲓᲔᲑᲘᲗ ᲐᲘᲕᲡᲝ ᲘᲥᲐᲣᲠᲝᲑᲐ;

ᲓᲐ ᲡᲐᲜᲗᲚᲔᲑᲘ ᲔᲜᲗᲝ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲗᲐᲜ, ᲡᲐᲜᲗᲚᲔᲑᲘ ᲔᲜᲗᲝ...

ᲛᲝᲕᲔᲤᲔᲠᲔᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲓᲘᲓ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲡ, ᲩᲕᲔᲜᲡ ᲒᲣᲠᲣᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲫᲚᲕᲐᲠᲡ, ᲨᲔᲡᲐᲜᲓᲝᲑᲐᲠᲘᲪ ᲨᲔᲕᲡᲕᲘᲗ ᲓᲐ „ᲗᲘᲗᲝ ᲭᲘᲥᲘᲗ ᲛᲗᲕᲠᲐᲚᲜᲘ“, ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲒᲐᲕᲔᲨᲣᲠᲔᲗ.

* * *

ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 50 ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ.

ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲖᲔ ᲖᲣᲡᲢᲐᲓ ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲛᲝᲕᲘᲞᲐᲢᲘᲟᲔᲗ.

ᲖᲝ�გᲘᲔᲠᲗᲛᲐ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲐᲮᲔᲠᲮᲐ.

ᲐᲠᲐᲓᲐ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲓᲐ�გᲕᲔᲛᲓᲣᲠᲐ, – ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ �გᲐ�გᲕᲐᲒᲔᲑᲘᲜᲔᲗᲝᲗ?!

ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ ᲕᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲗ ᲛᲐᲗᲒᲐᲜ ᲡᲐᲧᲕᲔᲓᲣᲠᲡ.

* * *

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲘᲡᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ ᲨᲔᲓᲒᲐ.

ᲘᲡ ᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲓᲐ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲡ: „ᲛᲝ�გᲝᲜᲔᲑᲔᲑᲘ ᲜᲝᲓᲐᲠ ᲢᲐᲑᲘᲫᲔᲖᲔ“...

ᲓᲐ Ი�გᲝᲜᲔᲑᲓᲜᲔᲜ 90 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲝᲫᲦᲕᲐᲠᲡ: ᲓᲘᲐᲜᲐ ᲢᲧᲔᲑᲣᲩᲐᲕᲐ, ᲜᲣᲜᲣᲙᲐ �გᲠᲫᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲜᲐᲢᲝ ᲙᲝᲠᲡᲐᲜᲗᲘᲐ, ᲗᲐᲛᲐᲠ ᲗᲐᲒᲕᲐᲫᲔ, ᲚᲔᲕᲐᲜ ᲑᲠᲔ�გᲐᲫᲔ, �გᲘ�გᲚᲐ �გᲝᲑᲔᲩᲘᲐ...

ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ �გᲣᲚᲣᲮᲕᲐᲓ ᲐᲦᲜᲣᲡᲮᲐᲕᲓᲐ ᲑᲐᲓᲠᲘ ᲕᲐᲓᲐᲯᲙᲝᲠᲘᲐᲡ ᲒᲐᲜᲗᲥᲛᲣᲚᲘ ᲤᲝᲢᲝᲝᲠᲘᲔᲥᲢᲘᲕᲘ.

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲢᲐᲑᲘᲫᲔ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗ ᲡᲤᲔᲠᲝᲡ ᲐᲠ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲝᲓᲐ. ᲘᲡ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲦᲕᲐᲬᲚᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ, ᲖᲝ�გᲐᲓᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ ᲘᲧᲝ.

ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲒᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲘᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲣᲨᲣᲐᲚᲝ ᲨᲔᲒᲘᲠᲓᲔᲑᲘ ᲠᲝᲛ ᲘᲮᲡᲔᲜᲔᲑᲓᲜᲔᲜ. ᲐᲥ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲡᲐ�გᲣᲠᲐᲛᲝᲡ ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲚ - ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲐᲜᲓᲠᲝ ᲑᲔᲓᲣᲙᲐᲫᲔ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲙᲝᲡᲘ ᲓᲐ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲝᲡᲘ ᲞᲐᲐᲢᲐ �გᲔᲠᲒᲐᲘᲐ.

* * *

ᲐᲥ ᲐᲠ ᲗᲥᲛᲣᲚᲐ ᲡᲐᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲝ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ.

ᲐᲥ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ �გᲣᲚᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲓᲘᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲡᲕᲚᲔᲚᲘ ᲜᲝᲓᲐᲠ ᲢᲐᲑᲘᲫᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲓᲐ ᲝᲠᲘ�გᲘᲜᲐᲚᲣᲠ ᲨᲢᲠᲘᲮᲡ ᲐᲗᲝᲕᲐᲚᲡᲐᲩᲘᲜᲝᲔᲑᲓᲐ.

ᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲑᲣᲗᲐᲓ ᲝᲠᲘ ᲛᲝ�გᲝᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲕᲐᲠᲩᲘᲔᲗ: ᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲒᲘᲠᲓᲘᲡ, ᲛᲔᲝᲠᲔ – ᲣᲤᲠᲝ „ᲨᲝᲠᲘᲓᲐᲜ ᲛᲐᲪᲥᲔᲠᲐᲚᲘᲡ“.

ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲛᲐᲖᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲑᲐᲥᲗᲝᲜ ᲜᲝᲓᲐᲠᲗᲐᲜ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ �გᲐᲕᲘᲮᲡᲔᲜᲝ.

„ᲓᲘᲚᲘᲡ �გᲐᲖᲔᲗᲨᲘ“ ᲒᲕᲔᲡᲢᲣᲛᲠᲐ. ᲛᲐᲨᲘᲜᲕᲔ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ, ᲣᲤᲠᲝ ᲡᲬᲝᲠᲐᲓ, ᲜᲐᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲐᲠᲔᲑᲘ ᲛᲝᲘᲙᲘᲗᲮᲐ. ᲜᲐᲢᲝ ᲙᲝᲠᲡᲐᲜᲗᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲔ ᲓᲐᲒᲒᲕᲘᲫᲐᲮᲔᲡ. ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲙᲐᲠᲢᲝᲖᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲐᲠ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲛᲔ ᲕᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲘ. ᲜᲝᲓᲐᲠ ᲢᲐᲑᲘᲫᲔ, ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲘᲪᲜᲝᲑᲓᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲖᲔ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲐᲛᲐᲗᲘ ᲓᲐ ᲜᲝᲢᲐᲪᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲛᲘᲡᲘ ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲘᲬᲧᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ.

ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲠᲝᲛ ᲛᲝᲕᲠᲩᲘᲗ, ᲩᲔᲛᲡ ᲝᲗᲐᲮᲨᲘ ᲨᲔᲕᲘᲞᲐᲢᲘᲟᲔᲗ. ᲐᲠ ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲛᲝᲒᲐᲪᲓᲘᲜᲝᲗᲝ, – �გᲕᲘᲗᲮᲠᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲓ ᲒᲐᲕᲣᲨᲕᲔᲑᲓᲘᲗ?! ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲣᲚ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ ᲒᲐᲜᲕᲐᲪᲮᲐᲓᲔᲗ: ᲠᲝ�გᲝᲠᲪ �გᲘᲜᲓᲐᲗ, ᲘᲡᲔ ᲒᲐᲛᲝᲣᲨᲕᲘᲗ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲠᲐᲪ �გᲘᲜᲓᲐᲗ, ᲓᲐᲬᲔᲠᲔᲗ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ ᲐᲠ ᲬᲐᲕᲐ, ᲐᲠ ᲕᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲗ!

ᲡᲐᲛᲜᲘ ᲕᲘᲡᲮᲔᲓᲘᲗ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲖᲔ ᲕᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲝᲑᲓᲘᲗ. ᲫᲕᲔᲚ ᲐᲛᲑᲔᲑᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ, ᲐᲮᲐᲚᲘ �გᲕᲐᲬᲣᲮᲔᲑᲓᲐ. ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲖᲔ ᲮᲛᲝ ᲬᲔᲠᲗᲝ, – �გᲕᲙᲘᲗᲮᲐ. ᲛᲔᲠᲔ ᲒᲕᲘᲮᲡᲜᲘᲓᲐ, ᲓᲦᲔᲡ ᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲝ�გᲝᲠ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲣᲤᲠᲝ ᲡᲬᲝᲠᲐᲓ, ᲐᲦᲐᲠ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ. ᲙᲘ ᲐᲠ ᲒᲕᲘᲮᲡᲜᲘᲓᲐ, ᲠᲐᲦᲐᲪᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲒᲕᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲡᲐᲜ ᲓᲐᲛᲘᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲒᲐᲕᲘᲮᲡᲔᲜᲘ.

„ᲓᲘᲚᲘᲡ ᲗᲐᲠᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“ ᲒᲕᲔᲡᲢᲣᲛᲠᲐ. ᲛᲐᲨᲘᲜᲕᲔ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲛᲝᲘᲪᲘᲗᲮᲐ. ᲤᲐᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲐᲠᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲬᲐᲕᲐ, ᲐᲠ ᲕᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲗ!

ᲡᲐᲛᲜᲘ ᲕᲘᲡᲮᲔᲓᲘᲗ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲖᲔ ᲕᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲝᲑᲓᲘᲗ. ᲫᲕᲔᲚ ᲐᲛᲑᲔᲑᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ, ᲐᲮᲐᲚᲘ �გᲕᲐᲬᲣᲮᲔᲑᲓᲐ. ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲖᲔ ᲮᲛᲝ ᲬᲔᲠᲗᲝ, – �გᲕᲙᲘᲗᲮᲐ. ᲛᲔᲠᲔ ᲒᲕᲘᲮᲡᲜᲘᲓᲐ, ᲠᲐᲦᲐᲪᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲒᲕᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲡᲐᲜ ᲓᲐᲛᲘᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲒᲐᲕᲘᲮᲡᲔᲜᲘ. ᲙᲘ ᲐᲠ ᲒᲕᲘᲮᲡᲜᲘᲓᲐ, ᲠᲐᲦᲐᲪᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲒᲕᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲓᲐ.

ᲞᲐᲐᲢᲐ ᲒᲔᲠᲒᲐᲘᲐ:

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲢᲐᲑᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲛᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲗ �გᲐᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲪᲓᲔᲑᲘ, ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲙᲔᲗᲘᲚᲐᲓ ᲛᲝᲛᲧᲕᲔᲑᲐ. ᲐᲛᲘᲡ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ, ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲜᲝᲓᲐᲠᲘᲡ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲡ ᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ...

ᲣᲘᲚᲘᲐᲛ �გᲝᲓᲕᲘᲜᲘ ᲐᲡᲔ ᲒᲕᲛᲝᲫᲦᲕᲠᲐᲕᲓᲐ: „ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲐ.“

ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲜᲝᲓᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲛᲡᲒᲐᲕᲡ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐᲡᲗᲐᲜ ᲒᲕᲐᲫᲕᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ.

ᲜᲘᲭᲘᲔᲠᲔᲑᲐ, ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲐ, ᲣᲛᲬᲘᲙᲕᲚᲝ ᲠᲔᲞᲣᲢᲐᲪᲘᲐ – ᲔᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲐᲨᲘ ᲥᲛᲜᲘᲡ ᲘᲛ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓ ᲞᲐᲠᲐᲓᲘ�გᲛᲐᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲐᲠᲡᲘᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲐᲡᲔ ᲟᲦᲔᲠᲓᲔᲡ: ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲣᲙᲘᲓᲣᲠᲔᲡᲐᲓ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ.

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲢᲐᲑᲘᲫᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲔᲡᲗᲔᲢᲘ, ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲘ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲐᲜᲢᲘᲙᲝᲡᲘ ᲘᲧᲝ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲛᲐᲡᲨᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲘᲗ, ᲡᲐᲒᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲪ ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲑᲝᲓᲐ.

ᲓᲘᲐᲮ, ᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠᲘ ᲰᲘᲞᲝᲡᲢᲐᲡᲘ ᲘᲧᲝ ᲠᲝᲛᲐᲜᲢᲘᲖᲛᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ.

ᲛᲔ ᲐᲡᲔ ᲕᲘᲢᲧᲝᲓᲘ: ᲓᲘᲓᲘ ᲙᲐᲪᲘ, ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲐᲐᲙᲚᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲡ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡ, ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ, ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ...

ᲓᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐ, ᲐᲡᲔ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝ: ᲞᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲬᲧᲕᲔᲢᲓᲜᲔᲜ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲒᲘᲒᲐᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲑᲔᲓᲡ...

* * *

ᲕᲐᲙᲔᲨᲘ ᲙᲘ, ᲚᲐᲛᲐᲖ ᲓᲐᲘᲡᲨᲘ ᲐᲛᲐᲧᲐᲓ ᲘᲓᲒᲐ ᲐᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲙᲕᲘᲞᲐᲠᲝᲡᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲠᲗ ᲓᲘᲓ ᲙᲐᲪᲡ ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲐᲓ ᲰᲒᲐᲕᲓᲐ...

ᲘᲝᲡᲔᲑ ᲭᲣᲛᲑᲣᲠᲘᲫᲔ

ᲡᲐᲜᲗᲚᲔᲚᲘ



ᲚᲐᲛᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲝᲗᲘᲐ ᲡᲐᲠᲩᲘᲛᲔᲚᲘᲔᲑᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲗ ᲦᲠᲛᲐ ᲛᲬᲣᲮᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲘᲐᲜ ᲣᲙᲔᲗᲘᲚᲨᲝᲑᲘᲚᲔᲡᲘ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ, ᲙᲐᲪᲣᲠᲙᲐᲪᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ, ᲭᲘᲠᲡᲐ ᲗᲣ ᲚᲮᲘᲜᲨᲘ ᲛᲝᲧᲕᲐᲡᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲒᲕᲔᲠᲓᲨᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ

ᲓᲐᲗᲝ ᲒᲝᲠᲝᲖᲘᲐᲡ

ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲣᲡᲐᲛᲫᲘᲛᲠᲔᲑᲔᲜ ᲝᲯᲐᲮᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲝᲑᲚᲔᲑᲡ.

ᲓᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲐ 27 III, 15 ᲡᲗ. ᲛᲐᲠᲢᲕᲘᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ, ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲭᲧᲝᲜᲘ.

ᲮᲡᲝᲕᲜᲐ

ᲪᲝᲚᲘᲡᲫᲛᲐ ᲢᲐᲠᲘᲔᲚ ᲓᲝᲚᲘᲫᲔ, ᲪᲝᲚᲘᲡᲫᲛᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲛᲘᲠᲖᲐ, ᲘᲠᲛᲐ, ᲘᲜᲒᲐ, ᲜᲐᲜᲐ ᲓᲝᲚᲘᲫᲔᲔᲑᲘ ᲝᲯᲐᲮᲔᲑᲘᲗ ᲓᲘᲓᲘ ᲗᲐᲜᲐᲒᲠᲫᲜᲝᲑᲘᲗ ᲣᲡᲐᲛᲫᲘᲛᲠᲔᲑᲔᲜ ᲓᲘᲓ ᲛᲬᲣᲮᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲧᲝᲤᲘᲝᲖᲝᲚᲓᲐ ᲓᲝᲚᲘᲫᲔᲡ, ᲞᲐᲐᲢᲐ, ᲛᲐᲛᲣᲙᲐ, ᲛᲐᲠᲘᲐᲛ, ᲡᲐᲚᲝᲛᲔ, ᲐᲜᲓᲠᲘᲐ ᲙᲝᲞᲐᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ, ᲜᲘᲜᲝ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐᲡ, ᲚᲔᲚᲐ ᲕᲐᲩᲘᲑᲔᲠᲘᲫᲔᲡ ᲛᲔᲣᲦᲚᲘᲡ, ᲛᲐᲛᲘᲡ, ᲑᲐᲑᲣᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲛᲐᲛᲗᲘᲚᲘᲡ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚᲘᲡ ᲫᲔ ᲙᲝᲞᲐᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ

ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

ᲣᲤᲐᲚᲛᲐ ᲜᲐᲗᲔᲚᲨᲘ ᲓᲐᲣᲛᲙᲕᲘᲓᲠᲝᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲛᲘᲡ ᲜᲔᲢᲐᲠ ᲡᲣᲚᲡ ᲖᲔᲪᲘᲣᲠ ᲡᲐᲛᲧᲝᲤᲔᲚᲨᲘ.

ᲜᲐᲚᲛᲖᲔ ᲐᲤᲔᲗᲘᲥᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲒᲐᲕᲚᲐ ᲨᲔᲫᲚᲝ

ᲫᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲛᲐ ᲖᲐᲣᲠ ᲙᲝᲛᲐᲮᲘᲫᲔᲛ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲕᲚᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲜᲐᲚᲛᲖᲔ ᲐᲤᲔᲗᲘᲥᲓᲐ, 2 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲒᲐᲕᲚᲐ ᲨᲔᲫᲚᲝ. ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲥᲡᲔᲚᲨᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲡᲐᲮᲕᲔᲚᲘ ᲕᲘᲓᲔᲝ ᲕᲠᲪᲔᲚᲓᲔᲑᲐ.

ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲗᲘᲗ, ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲨᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲗᲐ ᲓᲐ ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲡ ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡ ᲑᲣᲑᲐ ᲚᲝᲛᲣᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐ „ᲓᲐᲭᲠᲘᲚ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲗᲐ ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲘᲡ“ ᲤᲝᲜᲓᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲬᲧᲝᲑᲘᲗ ᲩᲐᲣᲢᲐᲠᲓᲐ.

ᲛᲔᲬᲧᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲩᲐᲘᲙᲔᲢᲐ!

ᲛᲔᲬᲧᲔᲠᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲬᲝᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ-ᲪᲐᲒᲔᲠᲘ-ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲔᲚ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲩᲐᲘᲙᲔᲢᲐ.

ᲛᲔᲬᲧᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲒᲖᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲚᲐᲯᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲙᲕᲔᲗᲖᲔ ᲒᲐᲜᲛᲔᲜᲓᲘᲗᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐ ᲯᲔᲠ ᲕᲔᲠ ᲮᲔᲠᲮᲓᲔᲑᲐ.

ᲠᲐᲭᲐ-ᲚᲔᲩᲮᲣᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲛᲝ ᲡᲕᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲞᲐᲞᲣᲜᲐ ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲘᲫᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲗ, Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ ᲒᲐᲬᲛᲔᲜᲓᲘᲗ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲡ ᲛᲔᲬᲧᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲨᲔᲩᲔᲠᲔᲑᲘᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲡ.

Რ

სოფო შევარდნაძე პატარა ანდრიას დედა გახდა

42 წლის სოფო შევარდნაძეს ბიჭი შეეძინა, რომლის წონაც 3,3 კილოგრამი, ხოლო სიგრძე 52 სანტიმეტრია. რუსული მედიის ინფორმაციით, ბავშვის დაბადების შესახებ Twitter-ზე „ეხო მასკვის“ მთავარმა რედაქტორმა ალექსეი ვენედიქტოვმა დაწერა.

საქართველოს ექსპრეზიდენტის შვილიშვილმა შვილს ანდრია დაარქვა.

როგორც ვენედიქტოვი წერს, სოფო თავის ორსულობაზე თითქმის არსად საუბრობდა. 21 თებერვალს კი მან მონაწილეობა მიიღო იან იანოვსკის ბლოგში, სახელწოდებით „ვარ თუ არა კარგი დედა“ და სწორედ იქ გააკეთა მოულოდნელი აღიარება. შევარდნაძეს არანაირი დამატებითი დეტალი არ გაუმხელია.

დედოფალი - ათგზის ბებია

დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელიზაბედ მეორე დიდი ბებია მეათედ გახდა.

დედოფლის შვილიშვილს ზარა ტინდალს და მის მეუღლე მაიკს ვაჟი გაუჩნდათ. ბავშვი კვირას მშობლების სახლში აბაზანაში დაიბადა, რადგან წყვილმა სამშობიაროში დროულად მისვლა ვერ მოახერხა.

ამის მიუხედავად პატარა, რომელსაც ლუკას ფილიპი დაარქვეს, თავს კარგად გრძნობს და ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრეთა სიაში 22-ეა.

პრინცმა ჰარიმ კიდევ ერთი სამსახური იპოვა

სასეძლის ჰერცოგი ასპენის ინსტიტუტის დეზინფორმაციასთან ბრძოლის კომისიის წევრი გახდა. მის გარდა, იქ მიიწვიეს ასევე რუპერტ მერდოკის საცოლე კეტრინ მერდოკი და აშშ-ის ეროვნული დაზვერვის ყოფილი პირველი მოადგილე სუ გორდონი.

პრინცი ჰარი მიიწვიეს, როგორც ფილანტროპი და ორგანიზაცია Archewell-ის დამაარსებელი. ის პერიოდულად კომისიის სხდომებში მიიღებს მონაწილეობას.

მანამდე ცნობილი გახდა, რომ დიდი ბრიტანეთის დედოფლის შვილიშვილმა ერთ-ერთ ამერიკულ სტარტაპში დაიწყო მუშაობა.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

ვენეციის არხებში დელფინები გამოჩნდნენ

კორონავირუსის პანდემიის დასაწყისში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ჭორი ვენეციის არხებში დელფინების გამოჩენას ეხებოდა. მედიაში წერდნენ, რომ კარანტინის გამო ბუნება იმდენად გასუფთავდა, რომ ცხოველებმა ქალაქში დაბრუნება გადაწყვიტეს. თუმცა რამდენიმე დღეს წინ ძუძუმწოვრები ვენეციაში ნამდვილად დაინახეს.

წმინდა მარკის მოედანთან ერთ-ერთ არხში დელფინი თავის შვილთან ერთად შენიშნეს. ისინი არხში დაახლოებით 7 საათის განმავლობაში იმყოფებოდნენ. ადგილობრივები მათ ფოტოებს უღებდნენ.

შემდეგ კი პოლიციისა და სანაპირო დაცვის თანამშრომლებმა დელფინები სპეციალური ტექნიკის გამოყენებით ადრიატიკის ზღვაში გაიცილეს.

ყველაზე დიდი ნახატი

ტილოზე შესრულებული ყველაზე დიდი ნახატი „კაცობრიობის მოგზაურობა“ დუბაიში გამართულ აუქციონზე 62 მილიონ დოლარად გაიყიდა.

ბრიტანელი მხატვარი საშა ჯაფრი ნახატზე 7 თვის განმავლობაში მუშაობდა. „კაცობრიობის მოგზაურობა“ ორი საფეხბურთო მოედნის ზომისაა. თავდაპირველად ნახატის 70 ნაწილად დაყოფა და ცალცალკე, 6 აუქციონზე გაყიდვა იგეგმებოდა.

ნახატის გაყიდვიდან მიღებულ თანხას მხატვარი ქველმოქმედებას მოახმარს. „კაცობრიობის მოგზაურობა“ კრიპტოვალუტების სფეროში მომუშავე კომპანიის ხელმძღვანელმა ანდრე აბდუნმა შეიძინა.

ვულკანზე შემწვარი ჰოთ-დოგები

ისლანდიაში ვულკან ფაგრადალსფიალის შესასწავლად ჩასულმა მკვლევარებმა გაციებულ ლავაზე ჰოთ-დოგები შეწვეს.

ნახევარკუნძულ რეიკიანესზე მდებარე ვულკანს 6 ათასი წლის განმავლობაში ეძინა და 19 მარტს ამოიფრქვა. მეტეოროლოგების თქმით, ამოფრქვევა მოსახლეობას საფრთხეს არ უქმნის, ამიტომ მოქალაქეებისთვის ვულკანი ერთგვარ ღირსშესანიშნაობად იქცა.

100-ზე მეტი გემი „საცობში“

400 მეტრის სიგრძისა და 59 მეტრის სიგანის კონტეინერმზიდმა, რომელიც ჩინეთიდან ნიდერლანდებში მიემართებოდა, სუეცის არხზე გადაადგილება დაბლოკა.

კონტეინერმზიდის მფლობელი კომპანია Evergreen Marine-ის განცხადებით, 23 მარტს ძლიერი ქარის გამო გემმა თავის კურსს გადაუხვია და მეჩეჩზე დაჯდა.

გემის მეჩეჩიდან მოხსნას რამდენიმე დღე დასჭირდება, მანამდე კი სუეცის არხთან „საცობში“ 100-ზე მეტი გემი დაგროვდა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 29 მარტს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.3413; ევრო - 3.9508;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.5809;
100 რუბლი - 4.3935; თურქული ლირა - 0.4209;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9669;
1000 სომხური დრამი - 6.3247.

ამინდი 26 მარტისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-1,	დღე	+14
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე	+10
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	0	დღე	+14
მთიანი რაიონები -	ღამე	-3	დღე	+9
თბილისი:	ღამე	+3,	დღე	+14

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge